# სარბიელი

სპორტული გაზეთი | პარასკევი 9 ნოემბერი 2001 №215 (1488) | ფასი 50 თეთრი


# გიორგი ბრწყინვალე




REUTERS [illegible]

# ასანიძე მსოფლიოს ჩემპიონია!

ინტერვიუ გიორგი ასანიძესთან იხილეთ მეთექვსმეტე გვერდზე

# ქართული მითოლოგიური ლექსიკონიდან

## წაგაგეთ — თამაში ჩვენი იყო, მაგრამ ...

**დიდი დრო** გავიდა მას მერე, რაც ფიდიპიდემ 42 კილომეტრი გაირბინა მარათონიდან ათენში ამბის ჩასატანად. დღეს, ინტერნეტის ეპოქაში, ელექტრომაგნიტური ტალღები ფიდიპიდეობენ — ბევრად უფრო სწრაფად და უმსხვერპლოდ.

ძველი ბერძენი გმირი და ნატოს დაკვეთით ნასა-ში შექმნილი გლობალური ელექტრონული სისტემა კი აი, რატომ გავიხსენეთ:

გუშინწინ ინგლისურ იორკში ქართველი 19-წლამდელები ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ მატჩში მასპინძლებთან 1:4 დამარცხდნენ. ის მატჩი ჩვენ არ გვინახავს და, ალბათ, ვერასდროს ვნახავთ.

იმავე ღამეს ნაკრების მწვრთნელმა გელა გომელაურმა „სარბიელს" უთხრა: „გაგიკვირდებათ, მაგრამ ბიჭებს საყვედურს ვერ ვეტყვი. ცალკეულ ეპიზოდებში ჩინებულად გაისარჯნენ და ტაშიც არაერთხელ დაიმსახურეს... ვთვლი, რომ ურიგოდ არ გვითამაშია..." მწვრთნელმა ისიც თქვა, რომ არბიტრმა 72-ე წუთზე მასპინძლებს პენალტი აჩუქა.

1:4 და კმაყოფილი მწვრთნელი — ეს, ალბათ, ტიპიური ქართული მოვლენაა, რაკი სხვა მსგავსი შემთხვევებიც გვახსოვს. ჩვენი ბიჭების კარგი თამაში, ტაში, მსაჯის უნამუსობა, თან მატჩის ვიდეოჩანაწერიც არ გვაქვს...

მაგრამ გვაქვს ინტერნეტი, რომლითაც ინფორმაცია ბევრად უფრო სწრაფად ვრცელდება, ვიდრე ფიდიპიდე ათენელი ჩამოვიდოდა იორკიდან თბილისში. ინტერნეტში კი თავისი ოფიციალური გვერდი აქვს ინგლისის ფეხბურთის ასოციაციას, რომელმაც არ დაიზარა და აღნიშნული მატჩის სტენოგრამა და მიმოხილვა გამოაქვეყნა.

სტენოგრამებსა და მიმოხილვებში საზოგადოდ არ წერენ, თუ რომელ გუნდს თუ ფეხბურთელს რამდენჯერ დაუკრა მაყურებელმა ტაში. სამაგიეროდ, დიდი სიზუსტითაა აღწერილი ყველა სახიფათო მომენტი. ამ მატჩის თაობაზე კი წერია, რომ ქართველებს, გოლის გარდა, სულ ორჯერ შეუტევიათ სახიფათოდ. ერთხელ ინგლისელ მცველს მოუგერიებია ბურთი, მეორედ კი ჩვენებს კუთხური ჩაუწოდებიათ ხეირიანად. მეტი არაფერი... ინგლისელთა მომენტები კი ბევრად მეტი ყოფილა, ერთხელ, პირველ ტაიმში, ხარიხისთვისაც გაურტყამთ. იქვე ისიც წერია, რომ ირაკლი მოდებაძის გოლი მასპინძელთათვის შოკის მომგვრელი იყო, რაკი დიდ უპირატესობას ფლობდნენო.

ბატონ გომელაურისგან საეჭვოდ მიჩნეული ეპიზოდიც არის აღწერილი, უეჭველი პენალტი იყოო.

თუმცა ეს არ არის მთავარი, არც ის, ორი წუთის მერე მსაჯმა ჩვენებურთა საჯარიმოში ტომასის წაქცევისთვის რომ არ ჩასტვინა. მნიშვნელოვნად ის გვეჩვენება, როდემდე უნდა გვწამდეს ფიცის, როცა ბოლო გვაკვირვებს, ფიდიპიდეს მოსვლამდე ხომ არა?

**გიორგი დარჯანია**

# გველესიანმა საქართველოში ჯორჯია აღმოაჩინა

**საქართველოს** ახალგაზრდული ნაკრების ნახევარმცველი, 21 წლის ოლეგ გველესიანი თბილისურ „ვიტ ჯორჯიაში" ჩაირიცხა. მან ვეტერინარებთან ორწლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი. „ვიტ ჯორჯიას" პრეზიდენტ გურამ რუხაძეს ზეექვსეულში დასამკვიდრებლად ბრძოლაში მისი ძალიან ეიმედება.

— გველესიანი ჩვენს გუნდს გამოადგება. მისი შესაძლებლობები კარგად ვიცი და დარწმუნებული ვარ, დიდ სარგებელს მოგვიტანს. — გვითხრა რუხაძემ.

ოლეგ გველესიანმა საფეხბურთო კარიერა თბილისის „დინამოში" დაიწყო, თუმც ძირითადად „დინამო 2"-ში უწევდა თამაში. საქართველოს ათეზის ჩემპიონთა ღირსება კი მხოლოდ ექსჯერ დაუცავს.

შარშან მისით „ბათუმის" თავკაცი ასლან ბალაძე დაინტერესდა და მალე გადაიბირა კიდეც. სწორედ „ბათუმში" შეძლო გველესიანმა საკუთარი შესაძლებლობების კარგად წარმოჩენა. იმ სტაბილური სეზონის შემდეგ კი ბულგარეთში წასვლა გადაწყვიტა და იქაურ „მარეკში" ჩაირიცხა, თუმც გაურკვეველი მიზეზების გამო მის შემადგენლობაში ერთხელაც არ უთამაშია.

გველესიანის ევროპული ვოიაჟი ამით არ ამოწურულა. იგი მოსკოვის „ტორპედოში" იმყოფებოდა გასასინჯად, მაგრამ ამ დროს „ვიტ ჯორჯიას" ვარიანტი გამოუჩნდა და სამშობლოში დაბრუნდა.

**კახა ზალამბერიძე**

### ინგლისი
I დივიზიონი. XIX ტური

პრესტონი 2:2 ბარნსლი

### საფრანგეთი
II დივიზიონი. XV ტური

გუეი 1:1 კაენი

### იტალია
სერია B. XII ტური

პისტოიეზე 0:1 კომო

### ესპანეთი
II დივიზიონი. XIII ტური

ფიროლი 3:0 ლეგანესი

### რუსეთი
XXX ტური

ალანია 3:0 როსტსელმაში

ანჟი 0:0 როტორი

დინამო 6:2 ფაკელი

კრილია სოვეტოვი 2:0 სატურნი

ლოკომოტივი 2:1 სპარტაკი

სოკოლი 0:2 ცსკა

ტორპედო 1:0 ტორპედო ზილ

ზენიტი 2:1 ჩერნომორეცი

მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი

### სამხრეთ ამერიკა
XVII ტური

არგენტინა 2:0 პერუ



## ევროლიგა
Euroleague

პირველი ჯგუფური ეტაპი. V ტური. 8 ნოემბერი

**A ჯგუფი**

ბენეტონი 87:83 მაკაბი

**C ჯგუფი**

ზადარი 73:80 ცსკა

**B ჯგუფი**

კინდერი 86:70 ოლიმპია

სკაილაინერზი 74:70 ულქერი

ბარსელონა 90:86 ჟალგირისი

პერისტერი 99:75 ლონდონ თაუერზი

**D ჯგუფი**

ვილერბანი 73:75 ურალ გრეიტი

ტაუ 86:68 სკავოლინი



თბილისის „დინამოში" ბოლო დროს განვითარებული მოვლენები ბევრისთვის საკამათო თემა იყო. გუნდის უცხოელმა პატრონმა ჯერ თანამდებობიდან გაათავისუფლა პრეზიდენტი რევაზ არველაძე, რომელიც ფეხბურთელებში დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა, მერე მას მწვრთნელის თანაშემწეები, არველაძის მეგობრები — გოჩა ტყებუჩავა და ნიკა ჩხეიძეც მიაყოლეს და ყოველივემ დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია. გუნდში არაჯანსაღი ვითარებაა, ფეხბურთელები უგულოდ ვარჯიშობენ და ამიტომაც ვერ აწყობენ თამაშს, ასე თუ გაგრძელდა, „დინამო" ექვსეულში ვერ მოხვდებაო, ასეთს და ამის მსგავსს კიდევ ბევრს გაიგონებდა კაცი.

„დინამოს" მწვრთნელი გივი ნოდია კი მაინც, ყოველთვის აუღელვებლად აცხადებდა, გუნდში ყველაფერი კარგადაა, ტრავმირებული ფეხბურთელები გამოჯანმრთელდებიან, სტაბილური შემადგენლობა გვეყოლება და ნელ-ნელა თამაშსაც დავალაგებთო.

დინამოელთა აწყობილ-დაწყობილ თამაშზე, უნაკლო ხარისხზე რა ვთქვათ, მაგრამ ფაქტი ის არის, რომ ქვეყნის ათგზის ჩემპიონებმა ბოლო ორი მატჩი მოიგეს, ერთხელ სტუმრად, „გორდა" უსიტყვოდ დაჯაბნეს, ორშაბათს კონკურენტ „ბათუმსაც" გაუსწორდნენ და ამ ექვსი ქულის შემდეგ, ალბათ, ექვსეულში მოხვედრაც არ უნდა გაუჭირდეთ. და ერთიც, გუნდი უკვე ერთსულოვანიაო, გვითხრა გივი ნოდიამ, როცა დილმის საწვრთნელ ბაზაზე ვესტუმრეთ და ინტერვიუ ვთხოვეთ.

# ნოდიასთვის ცუდიც კარგია

## განახევრებული ქულებით დინამო ჩემპიონობისთვის იბრძოლებს

**— გუნდის ამჟამინდელი სათამაშო ფორმით კმაყოფილი ბრძანდებით?**

— უკმაყოფილობის საბაბი ნამდვილად არ მაქვს. განსაკუთრებით ბოლო ორი მატჩის შემდეგ გამოჩნდა, რომ გუნდი ნელ-ნელა უმატებს. აგერ, ტრავმირებული ფეხბურთელებიც გამოჯანმრთელდნენ. მართალია, ისინი მოედანზე თავს არ ზოგავენ, მაგრამ საუკეთესო ფორმამდე კიდევ აკლიათ. ერთი სიტყვით, „დინამო" კიდევ მოუმატებს.

**— ესე იგი, ჩემპიონობისთვის ბრძოლაც რეალურია?**

— რატომაც არა. მით უმეტეს, მეორე ეტაპიდან ქულების რაოდენობა განახევრდება და ლიდერებს უფრო მივუახლოვდებით. მართალია, მე ჩემპიონატის ამგვარი სტრუქტურის მომხრე არ ვარ, მაგრამ ამჟამად გუნდებისა და ქულების გაყოფა „დინამოსთვის" მომგებიანია. თუ წინა ჩემპიონატში ექვსეულებით „ლოკომოტივი" დაიჩაგრა, ახლა მის დღეში „ტორპედოა".

**— რა პრობლემა გაქვთ?**

— სავარჯიშო, მოსამზადებელ პირობებს გულისხმობთ?

**— თუნდაც.**

— პრობლემააო, რომ ვთქვა, სწორი არ იქნება. დღე-დღეზე ველით თანამედროვე ტრენაჟორებსა და ბაზის მესამე მოედანზე ხალიჩის დაგებას. აი, ეს არის, სხვა მხრივ ყველაფერი კარგადაა. ტრენაჟორები და ხალიჩა გუნდის სავარჯიშო პროცესს უთუოდ წაადგება.

**— თამაშისას გუნდს რა ნაკლი აქვს?**

— საგოლე მომენტების გამოუყენებლობა, ნაკლია, აბა, რა. თითქმის ყოველ მატჩში ძალიან ბევრი რეალური საგოლე შანსი გვაქვს, მაგრამ ვაცუდებთ. ამის გამო რამდენიმე ქულა დავკარგეთ. თუმც ესეც ტრავმირებული ფეხბურთელების არყოფნით აიხსნება. „გორდასთან" მატჩში, დაახლოებით 10 ნაღდი მომენტი შევქმენით მეტოქის კართან და ერთი ბურთი შევაგდეთ. ისე კი, ზოგადად, გუნდში ნორმალური ვითარებაა, უკვე თითქმის ყველა ჯანმრთელადაა. ნაავადმყოფარი ფეხბურთელები თავიანთ სასურველ სათამაშო ფორმას უახლოვდებიან, რაც, ცხადია, გუნდში კონკურენციის წინაპირობაა.

**— ადრე თქვით, სტაბილური შემადგენლობის მომხრე ვარო. ისე ხომ არ იქნება საქმე, რომ „დინამოში" ბევრი ფეხბურთელი უთამაშებელი დარჩება?**

— თავისთავად, ზოგს მოუწევს სკამზე ჩამოჯდომა, ეს გარდაუვალია. სამწუხაროდ, ჯერ „დინამოს" ქულათა ისეთი მარაგი არ აქვს, რომ შემადგენლობა ხშირად გამოვცვალო და თამაშის საშუალება ყველას მივცე. თანაც, რაც მთავარია, ძირითადში მოთამაშენი არ მაძლევენ იმის საბაბს, შემადგენლობიდან ამოვაგდო. ისე კი იცით, როგორც უნდა იყოს, მწვრთნელი სათამაშო შემადგენლობას მეტოქიდან გამომდინარე უნდა არჩევდეს. ჩვენ აქეთკენ მივდივართ. აი, ბოლო მატჩებში მანწკავამ ითამაშა დამაჯერებლად და, შესაძლოა, მალე ის კვლავ ძირითადში ვიხილოთ.

**— უახლოეს მომავალში გუნდში ცვლილებები ხომ არ არის მოსალოდნელი? ფეხბურთელთა გასხვისებას, ახლების მოწვევას ვგულისხმობ.**

— ხანდახან გაზეთებში ისეთი ინფორმაციები იბეჭდება, ეჭვი მეპარება, ამ გუნდის მწვრთნელი მე თუ ვარ. იცოდეთ, ამ ფეხბურთელებს „დინამოსთან" კონტრაქტი აქვთ და თვითნებურად ვერსად წავლენ. „დინამოს" ყველა ფეხბურთელი ივნისამდე გუნდში დარჩება. ასე წერია კონტრაქტში და ვიცი, რომ არც კლუბის ხელმძღვანელობა აპირებს მათ სადმე გაშვებას. მთავარი გუნდის ინტერესებია. და კიდევ, დიდი სურვილი მაქვს, „დინამოდან" ყველა ფეხბურთელი ისეთი მომზადებული წავიდეს, ახალი გუნდის ძირითადში ითამაშოს და არა სათადარიგოებში. ეს ჩვენთვისაც კარგი იქნება და, რა თქმა უნდა, ფეხბურთელისთვისაც.

**— დიდი ხანი არ არის, რაც „დინამო" ათამაშდა. ამასაც ბოლო ორი მატჩის შემხედვარე გეუბნებით. ჩავარდნის მიზეზი რა იყო? როგორც ამბობდნენ, გუნდში შექმნილი არასასურველი ატმოსფერო?**

— როგორც გსურთ, ისე თქვით. გუნდს რომ ახალი პატრონი გამოუჩნდა, ამას არაერთგვაროვანი რეაქცია მოჰყვა. ხშირად არაობიექტურადაც ლაპარაკობდნენ. თუმც ნელ-ნელა ვითარება გამოსწორდა, ყველაფერი დალაგდა, თავის საქმე ყველამ გაიგო და მის კეთებას შეუდგა. მერე შინაგან საქმეთა მინისტრის თანამდებობა კახა თარგამაძემაც დატოვა და გუნდს დაღი ამანაც დაასვა, ამ ფაქტმაც იმოქმედა ფეხბურთელებზე.

**— ახლა, როგორც თქვით, ყველაფერი მოწესრიგებულია...**

— კი, ასეა. ჯერჯერობით ყველაფერი კარგადაა და ვიმედოვნებ, ასევე გაგრძელდება.

**— დინამოს" ახალი პატრონის განცხადებით, გუნდმა ორ წელიწადში ჩემპიონთა ლიგაში თამაში უნდა შეძლოს და მოსკოვის „სპარტაკის" დონეს მაინც გაუთანაბრდეს. მწვრთნელი როგორ ფიქრობს?**

— ორი წელიწადი სავსებით საკმარისია იმისთვის, რომ ამ კონტინგენტით „სპარტაკის" დონის გუნდი გაკეთდეს. საკმარისია და რეალური. ამას ფინანსური თვალსაზრისითაც ვამბობ. მთავარია, შემადგენლობა შევინარჩუნოთ და ნელ-ნელა „დინამოში" პერსპექტიული ფეხბურთელები მოვიწვიოთ. კარგი გუნდის გაკეთებას დრო სჭირდება, ორი წელი კი ამისთვის საკმარისია.

**— ახალი, პერსპექტიული ფეხბურთელებიო, თქვით, ვინმეს ხომ არ დაადგით თვალი?**

— რამდენიმე ფეხბურთელს ვაკვირდები და მომწონს მათი თამაში, თუმც გვარებს ვერ ჩამოვთვლი, რადგანაც ისინი სხვა გუნდების წევრები არიან და არაკორექტული იქნება. ამას ჩვენ ვითვალისწინებთ და სხვისგანაც ამასვე მოვითხოვთ. ცივილურ ურთიერთობას რა სჯობს. გსურს ფეხბურთელი? დაელაპარაკე მის გუნდს. „დინამო" ზურგსუკან არავისთან მართავს მოლაპარაკებას.

**— „დინამოსთვის" უარყოფით შედეგად რა ჩაითვლება?**

— ჯერ ადრეა ამის თქმა. ჩემპიონატი მაისში მთავრდება. შედეგების შეფასება საერთოდ კლუბის პატრონის საქმეა. გააჩნია გუნდში შექმნილ ვითარებასაც, მწვრთნელის ფეხბურთელებთან დამოკიდებულებას, საწვრთნელ პროცესს. რატომ გაათავისუფლეს ფათიჰ თერიმი „მილანიდან"? მხოლოდ შედეგისთვის? არა მგონია. აგერ, „ფიორენტინა" სულაც სერია A-დან გავარდნის პირასაა, მაგრამ მანჩინის არაფერი ემუქრება.

**— სხვა რამ გკითხეთ. თქვენ, როგ „დინამოს" მწვრთნელი, უარყოფით შედეგად რას ჩათვლით?**

— ჩემთვის მთავარია, გუნდმა კარგად ითამაშოს, ხარისხმა დამაკმაყოფილოს. ასე თუ იქნება, სასურველ შედეგსაც მივაღწევთ. ისე კი — გუნდი კარგად შემთხვევით ვერ ითამაშებს. „დინამომ" ფოთში 4:0 მოიგო და მეტოქეს აშკარად აჯობა. ჩინებულად ვითამაშეთ ორშაბათს „ბათუმის" წინააღმდეგ, „გორდასთანაც", რუსთავში.

**— ბოლო ხანს, გუნდში ყველაზე სასიამოვნოდ რა გენიშნათ?**

— ერთსულოვნება. „ბათუმთან" მოგებული მატჩის შემდეგ დავინახე ის, რაც აქამდე მხოლოდ „ბატესთან" თბილისში თამაშის მერე მოხდა. გუნდი მართლაც ერთ გუნდადაა შეკრული. სათადარიგო თუ ძირითადი შემადგენლობის ფეხბურთელი ყველაფერს ერთნაირად განიცდის. აქამდე ზოგი ცოტა გულგრილი იყო, გუნდის შედეგი, ვატყობდი, დიდად არ აღელვებდა, ახლა ვითარება სასიკეთოდაა შეცვლილი. აი, ეს მსიამოვნებს.

**— და მაინც, „დინამოს" თქვენთვის სასურველად ათამაშებამდე ბევრი აკლია?**

— ძალიან ბევრი არა. ხომ ვთქვი, ტრავმამოშუშებული ფეხბურთელები ფორმას ბოლომდე აღიდგენენ და „დინამოს" ძალაც ყველასთვის თვალში საცემი იქნება.

**კობა ინასარიძე**

საქართველოს უმაღლესი ლიგა პირველი — ჩემპიონატი ლიგა ეტაპი 13

# 15 ტური

ანონსი

# მიდიან: მსაჯები რუსთავში ლიდერები სტუმრად



პირველ წრეში „ლოკომოტივი“ „ვიტ ჯორჯიას“ დამარცხებას ხარობდა

მეთხუთმეტე ტურში ზექქვსეულის ხუთი გუნდი სტუმრად თამაშობს. ყველა, ალბათ, ვერ იმარჯვებს, მაგრამ მასპინძლებს კარგი დღე რომ არ დაადგებათ, ფაქტია.

ცენტრალური თამაში მცხეთაში ჩატარდება. პირველი ექვსეულისთვის მებრძოლი, ამჟამად მეშვიდეადგილოსანი „ვიტ ჯორჯია“ მუდმივ მეტოქეს, ვიცე-ჩემპიონ „ლოკომოტივს“ მასპინძლობს. საინტერესო თამაშია ბათუმშიც. ზღვისპირეთში ოთარ გაბელიას ისევ ლიბეროს გარეშე მოუწევს წასვლა.

ამჯერად მსაჯები რუსთავში მიდიან და „გორდა“ – „სამგურალს“ მოემსახურებიან. მშვიდობით დაბრუნება ვუსურვოთ და მასპინძლებთან შერიგებაც ისე, რომ სტუმარი არ დაგვრჩეს განაწყენებული.

დღეს თუ ფეხბურთში სახეირო ვერაფერი ნახეთ, შაბათს რაგბიზე მიბრძანდით. მორაგბეები ფიცხელ ბრძოლას მაინც გვპირდებიან. მათ ხომ უკანდახევა არ სჩვევიათ.

**მცხეთა. არმაზი. 9 ნოემბერი. 15.00 საათი**

## ვიტ ჯორჯია — ლოკომოტივი

**მსაჯები:** მ. მალალურაძე; ლ. სილაგავა (ორივე თბილისი), ბ. ბრეგვაძე (ჭიათურა); ა. ორდინიძე (ონი); **სფფ-ის ინსპექტორი:** ა. მილჩენკო
**დისკვალიფიცირებული:** ანჩაბაძე (ლოკომოტივი)

**ზესტაფონი. ცენტრალური. 9 ნოემბერი. 15.00 საათი**

## მეტალურგი — დინამო

**მსაჯები:** მ. მაისურაძე; ზ. ჯვარიძე, მ. ურუშაძე (სამივე თბილისი); ჯ. ბუიშვილი (ჭიათურა); **სფფ-ის ინსპექტორი:** მ. ლაცაბიძე

**ბათუმი. დინამო. 9 ნოემბერი. 15.00 საათი**

## ბათუმი — მერანი

**მსაჯები:** ა. შილაკაძე; ზ. დოლიძე, ი. შალამბერიძე (სამივე თბილისი); გ. კიკაჩეიშვილი (ქუთაისი); **სფფ-ის ინსპექტორი:** მ. კობიაშვილი
**დისკვალიფიცირებული:** გუჯაბიძე (მერანი)

**რუსთავი. ფოლადი. 9 ნოემბერი. 15.00 საათი**

## გორდა — სამგურალი

**მსაჯები:** ლ. ფანიაშვილი; მ. ელიკაშვილი (ორივე თბილისი), გ. ცირდავა (გულრიფში); ა. მეშკოვი (თბილისი); **სფფ-ის ინსპექტორი:** გ. ძამუკაშვილი
**დისკვალიფიცირებულნი:** ბერიძე, კედელაშვილი (ორივე გორდა)

**ბოლნისი. თემურ სტეფანია. 9 ნოემბერი. 15.00 საათი**

## სიონი — ტორპედო

**მსაჯები:** ს. კვარაცხელია (ზუგდიდი); ლ. მიქელაძე, გ. ჩიგოგიძე (ორივე სამტრედია); ზ. ანიაშვილი (გორი); **სფფ-ის ინსპექტორი:** ე. სილაგავა
**დისკვალიფიცირებული:** ბარნოვი (სიონი)

**ლანჩხუთი. ევგრაფი შევარდნაძე. 9 ნოემბერი. 15.00 საათი**

## გურია — კოლხეთი

**მსაჯები:** ა. შალამბერიძე; კ. გაბრიაძე (ორივე ქუთაისი), ა. სამხარაძე (სოხუმი); პ. დოგრაშვილი (ქუთაისი); **სფფ-ის ინსპექტორი:** ლ. ყიფიანი
**დისკვალიფიცირებული:** ე. გვასალია (კოლხეთი)

### ვიტ ჯორჯია — ლოკომოტივი

| | | |
|---|---|---|
| შინ: | 4+2=1-1 | 5:3 |
| სულ: | 10+2=3-5 | 9:14 |

უხერხული მეტოქე ჰყავთ ვეტერინარებს. ხშირად ცარიელზე დაუტოვებია „ლოკომოტივს“ „ვიტ ჯორჯია“. სათასო მეოთხედფინალში მათი დაპირისპირება ბევრს ახსოვს, ამ მატჩმა მსაჯის დროებითი დისკვალიფიკაციითაც დაგვამახსოვრა თავი.

სტუმარ-მასპინძლისთვის ფრეს და წაგებას ერთი ფასი ეძლევა. ვიტელთათვის ქულა ვერაფერი ნუგეშია. ფრის შემთხვევაში „კოლხეთს“ და „ბათუმს“ შანსი ეძლევათ კიდევ უფრო დაწინაურდნენ. რკინიგზელთა წაფორხილებას უცდის „ტორპედოც“, რათა ოთხქულიანი უპირატესობა დაიბრუნოს.

„ვიტ ჯორჯია“ საშინაო მატჩებში ჩაგრავდა „ლოკომოტივს“. ორი მოგება, ერთი ფრე და ამდენივე წაგება გარკვეული უპირატესობის მანიშნებელია, მაგრამ საერთო ჯამში რკინიგზელები სჯაბნიან ვეტერინარებს. 10 თამაშში ხუთი მოგებითა და სამი ფრით წინ არიან მეტოქეზე.

სერგო გაბელაიამ შეიძლება ალექსანდრე ინწკირველი და გიორგი არეშიძე დღესაც ვერ ათამაშოს. ორივეს ტრავმები აწუხებს. ვიტელთა ოდინდელი კაპიტანი გიორგი ჭანკოტაძე ძირითადში კი დააბრუნა მწვრთნელმა, მაგრამ ცენტრალური მცველი სასურველი სათამაშო კონდიციებიდან შორსაა. მაინც და მაინც ვერც წინახაზელები მოიწონებენ თავს. ასე რომ, მასპინძლებს პრობლემები არ აკლიათ.

დღეს მცხეთაში ვერ ითამაშებს „ლოკომოტივის“ ლიდერი გიორგი ანჩაბაძე. არა იმიტომ, რომ კახა ცხადაძემ დასაჯა (ისე კი უპირებდა), არამედ, მესამე გაფრთხილების გამო. ანჩაბაძის არყოფნა დიდი დანაკლისია რკინიგზელებისთვის, ისეთი „ვიტ ჯორჯიას“ თითქმის ყველა პრობლემას რომ გადაწონის. სხვები ცხადაძეს წესისა და რიგის მიხედვით ჯანზე უნდა ჰყავდეს და მცხეთაშიც მოსაგებად მიდიან რკინიგზელები.

### ბათუმი — მერანი

| | | |
|---|---|---|
| შინ: | 4+1=2-1 | 4:2 |
| სულ: | 9+2=4-3 | 7:6 |

„ბათუმისთვის“ „მერანი“ ერთ-ერთი უხერხული მეტოქეა.

ცხრა მატჩში სულ ორჯერ წაქცეულან ავჭალელები — ერთხელ შინ, ერთხელაც სტუმრად. სულ სამჯერ უმარჯვია „ბათუმთან“ „მერანს“. სამიდან ყველაზე პრინციპული მეთორმეტე ჩემპიონატის პირველი ეტაპის მეორე წრის მატჩი იყო. გადამწყვეტ თამაშში ოთარ გაბელიას გუნდმა სტუმრად დაჯაბნა მოწინააღმდეგე და ზეექვსეულშიც თავაწეულმა შეაბიჯა.

დაძაბულობით დღევანდელი დაპირისპირება იმას ვერ შეედრება, მაგრამ ალბათ, ისევ გაუჭირდებათ მასპინძლებს სტუმართა წაქცევა. იქნებ საქმე დისკვალიფიცირებული გოჩა გუჯაბიძის არყოფნამ გაუიოლოთ, მაგრამ ავჭალური გუნდი ასე არ ფიქრობს და დღესაც იმასვე აპირებს, რაც გაზაფხულზე მოახერხა.

### გორდა — სამგურალი

| | | |
|---|---|---|
| შინ: | 9+8=0-1 | 27:10 |
| სულ: | 18+9=0-9 | 30:27 |

ამ წყვილს ერთი უცნაურობა გამოარჩევს, ურთიერთშეხვედრებში არასდროს უთამაშიათ ფრედ. თითო მატჩი მოუგიათ სტუმრად, ხოლო სხვა დროს მუდამ მასპინძელი სჯობდა სტუმარს.

თენგიზ კაცია დისკვალიფიკაციის გამო ძირითადის ორ მცველს მოისაკლისებს. დავით ბერიძე და ამირან კედელაშვილი მხოლოდ მაყურებლის სტატუსით უნდა შემოიფარგლონ.

მართალია, წყალტუბოელები ძირითადი გუნდით ეწვევიან რუსთავს, მაგრამ მათი გამარჯვებისა რაღა მოგახსენოთ. სატურნირო ცხრილში ბოლო ადგილზე დალექილი „გორდა“ ისეა გამგელებული, რომ არავის დაინდობს.

ისე, სპეციალისტები რუსთავში ფრეს ვარაუდობენ, ერთხელ მშვიდობამ ხომ უნდა იზეიმოსო, და, ვინძლო, ნათქვამი გამართლდეს.

### მეტალურგი — დინამო

| | | |
|---|---|---|
| სულ: | 1+0=0-1 | 1:6 |

ზესტაფონელებმა წინა ტურში ოქროს ქულა წაილეს მცხეთიდან. იგივე თუ დღესაც მოახერხეს, ძალიან კმაყოფილები უნდა იყვნენ. ამ ფაქტს არაფრით შეეგუება „დინამო“, რომელმაც მიყოლებით ორი თამაში მოიგო და წელშიც გასწორდა. იმერეთში დღეს ათგზის ჩემპიონია ფავორიტი.

### სიონი — ტორპედო

| | | |
|---|---|---|
| შინ: | 6+2=1-3 | 13:15 |
| სულ: | 13+2=2-9 | 15:35 |

რთული მატჩი იქნება ბოლნისში. რთული სათამაშოდ და სამსაჯოდაც. „ტორპედო“, ცხადია, არაფერს დათმობს, თორემ ზურგსუკან „ლოკომოტივია“. ბოლნისელები მუდამ სულით უტეხნი არიან „თემურ სტეფანიაზე“, ჰოდა, გაუჭირდება ჩემპიონს.

თემურ მახარაძის პრობლემა პაატა ბარნოვის დისკვალიფიკაცია გახლავთ. „სიონის“ ყველაზე დაუოკებელი და მებრძოლი მოთამაშე დღეს გულშემატკივარი იქნება. რაც შეეხება „ტორპედოს“, რიონისპირელებს იმხელა სათადარიგოთა სკამი აქვთ, ზედ ორი „სიონიც“ თავისუფლად დაეტევა. ასე რომ, რომელიმე ფეხბურთელის არყოფნა „ტორპედოს“ თითქმის არც შეეტყობა.

### გურია — კოლხეთი

| | | |
|---|---|---|
| შინ: | 9+3=0-6 | 7:18 |
| სულ: | 18+4=0-14 | 11:43 |

აი, კიდევ ერთი უცნაურობა. „გურიას“ და „კოლხეთსაც“ არ უთამაშიათ თურმე ფრედ. არადა, ლანჩხუთელებს ადრე გუნდი ჰყავდათ, თუმც მაშინაც უჭირდათ კოლხებთან გამკლავება.

არა გვგონია, „კოლხეთმა“ ზედიზედ ორჯერ წააგოს. მით უფრო, რომ ფილიას წივწივაძე დაუბრუნდა და სხვა ტრავმირებულებიც მოუშუშდათ. ერთი ეგაა, მწვრთნელი ლანჩხუთში ელდარ გვასალიას ვერ იახლებს. შემტევ შუახაზელს ზედმეტი გაფრთხილებები დაგროვებია.

**მამუკა ძგანტალიანი**




მერანელი ალექსანდრე კოშკაძე ბათუმელ კახა ქაცარავას დაუსხლტა

| უმაღლესი ლიგა | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № გუნდები | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 ტორპედო | 14 | 11 | 2 | 1 | 36:10 | 26 | 35 | 7 | 6 | 1 | 0 | 19:5 | 14 | 19 | 7 | 5 | 1 | 1 | 17:5 | 12 | 16 |
| 2 ლოკომოტივი | 14 | 11 | 1 | 2 | 30:8 | 22 | 34 | 7 | 6 | 1 | 0 | 15:3 | 12 | 19 | 7 | 5 | 0 | 2 | 15:5 | 10 | 15 |
| 3 მერანი | 14 | 8 | 1 | 5 | 26:21 | 5 | 25 | 7 | 6 | 0 | 1 | 18:5 | 13 | 18 | 7 | 2 | 1 | 4 | 8:16 | -8 | 7 |
| 4 დინამო | 14 | 7 | 3 | 4 | 26:12 | 14 | 24 | 7 | 3 | 3 | 1 | 16:6 | 10 | 12 | 7 | 4 | 0 | 3 | 10:6 | 4 | 12 |
| 5 ბათუმი | 14 | 6 | 4 | 4 | 19:12 | 7 | 22 | 7 | 6 | 0 | 1 | 15:5 | 10 | 18 | 7 | 0 | 4 | 3 | 4:7 | -3 | 4 |
| 6 კოლხეთი | 14 | 6 | 3 | 5 | 23:23 | 0 | 21 | 7 | 5 | 1 | 1 | 18:10 | 8 | 16 | 7 | 1 | 2 | 4 | 5:13 | -8 | 5 |
| 7 ვიტ ჯორჯია | 14 | 5 | 5 | 4 | 19:16 | 3 | 20 | 7 | 3 | 4 | 0 | 6:3 | 3 | 13 | 7 | 2 | 1 | 4 | 13:13 | 0 | 7 |
| 8 სიონი | 14 | 4 | 4 | 6 | 10:20 | -10 | 16 | 7 | 4 | 1 | 2 | 9:10 | -1 | 13 | 7 | 0 | 3 | 4 | 1:10 | -9 | 3 |
| 9 სამგურალი | 14 | 2 | 4 | 8 | 10:25 | -15 | 10 | 7 | 2 | 3 | 2 | 8:8 | 0 | 9 | 7 | 0 | 1 | 6 | 2:17 | -15 | 1 |
| 10 გურია | 14 | 1 | 6 | 7 | 11:24 | -13 | 9 | 7 | 0 | 4 | 3 | 3:10 | -7 | 4 | 7 | 1 | 2 | 4 | 8:14 | -6 | 5 |
| 11 მეტალურგი | 14 | 1 | 5 | 8 | 6:27 | -21 | 8 | 7 | 1 | 2 | 4 | 3:12 | -9 | 5 | 7 | 0 | 3 | 4 | 3:15 | -12 | 3 |
| 12 გორდა | 14 | 1 | 4 | 9 | 10:28 | -18 | 7 | 7 | 1 | 1 | 5 | 5:14 | -9 | 4 | 7 | 0 | 3 | 4 | 5:14 | -9 | 3 |

# მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი
# სამხრეთ ამერიკა. XVII ტური



REUTERS ლი ბასილაძე

ლუიშ ფელიპე სკოლარი

# ბრმების სკოლაა?!
## სკოლარის რკინის არგუმენტი: ვენესუელას ხომ მაინც მოვუგებთ

**ასეა თუ ისე**, სიმაღლის, უჰაერობისა და სხვა ხელშემშლელი მიზეზების გამო ბრაზილიის ნაკრები ლა პასიდან სამშობლოში შერცხვენილი დაბრუნდა. სკოლარის გუნდმა უპრინციპულესი მატჩი წააგო და რომ არა ურუგვაისა და ეკვადორის ნაკრებების ფრით გაყრა, იქნებ მსოფლიოს ოთხგზის ჩემპიონთა ისტორიაში სრულიად ახალი, წარმოუდგენლად შავი ფერის ფურცელიც გადაშლილიყო. ახლა მათ შინ, შესარჩევი ეტაპის ბოლო მატჩში, ვენესუელელები უნდა დაამარცხონ და კორეა-იაპონიაც განაღდებულია.

ცხადია, ბოლივიასთან შერცხვენის მერე „დიდი ფილი" თავს ვერაფრით მოიწონებს და მხოლოდ ბოლო მატჩის მოგება დაუხვევია ხელზე: „ბოლივიელები ჩვენზე გაცილებით კარგად თამაშობდნენ. მასპინძლებმა მაღალი ტექნიკა აჩვენეს და მოედანზე ჩვენზე მეტსაც მოძრაობდნენ. თავის მართლებას არ ვაპირებ და მარცხს არც იმას ვაბრალებ, რომ თამაშისთვის მოსამზადებლად ცოტა დრო გვქონდა. წავაგეთ, მაგრამ მიზანს მაინც მივაღწევთ. ჩვენს ფეხბურთელებს ვენესუელას ძლევა ნამდვილად ძალუძთ. ასე რომ, მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე ბრაზილია ითამაშებს".

ლუიშ ფელიპე სკოლარის მეტი არც არაფერი ეთქმის. ისე, კაცმა რომ თქვას, მისი მხრიდან ესეც გაბედული ნაბიჯია — წააგო ბოლივიასთან, უსუსურ გუნდთან, ვისაც არ ეზარება, ყველა რომ აპამპულებს და რომელსაც წინა თექვსმეტ თამაშში მხოლოდ სამი მოგება დაეთვლება და შემდეგ ქომაგობა ამშვიდო, ყველაფერი რიგზეაო, მართლაც უნამუსობაა.

ბრაზილიელებს მოგება სჭირდებოდათ, ხოლო ბოლივიელებმა, რომელთათვისაც შესარჩევი ეტაპი კარგა ხნის წინ დასრულდა, სეზონში საუკეთესო მატჩი ითამაშეს. მასპინძელთა შეტევებმა მუდამ ბაქიბუქა (უფრო სწორი იქნებოდა, გვეთქვა, ჯერ კიდევ) ბრაზილიელები სახტად დატოვა, ხოლო სწრაფმა ტემპმა მსოფლიოში პირველობის ამბიციების მქონეთ ენები გადმოაყრევინა. ტეტრაკამპეონებს ვერც ანგარიშის გახსნამ უშველა. გოლი ედილსონმა შეაგდო და რიგიანადაც. რივალდო-ედილსონის კომბინაცია, შემდეგ კი ოცი მეტრიდან მეკარე მაურისიო სორიასთვის გამაოგნებელი დარტყმა, მართლაც რომ ლამაზი, ბრაზილიური გამოდგა.

ეს იყო და ეს, ედილსონმა რამდენჯერმე კიდევ სცადა ბედი, შემდეგ კი მასპინძელთა ჯერი დადგა. ლიდერ პასმა მილანელი როკე ჟუნიორის შეცდომით ისარგებლა და ბრაზილიელები შესვენებაზე დამწუხრებული გაუშვა.

ბრაზილიელები შესვენებაზე, ალბათ, სკოლარის რჩევა-დარიგებებსაც გულისყურით უსმენდნენ, მაგრამ... შედეგად საკუთარ კარში მიღებული ორი ბურთი და მორიგი სირცხვილიღა შერჩათ. მეკარე მარკოსს ხულიო სეზარ ბალდივიესომ ორჯერ — პირველად ორმოცმეტრიანი საჯარიმო დარტყმით, მეორედ კი თერთმეტმეტრიანი ნიშნულიდან გაუტანა.

ტორსიდას ნირი რომ წაუხდებოდა, ამას თქმა არ უნდა, მაგრამ გაახაროს ღმერთმა ეკვადორელი ივან კავიედესი. მისმა თავურმა ურუგვაელთა კარის ბადე შეარხია, ანგარიში გაათანაბრა და ბრაზილიელთა მდევრებს მხოლოდ ქულა აკმარა.

ივან კავიედესმა ბრაზილიელთა საქმეც ხომ გააკეთა, ეკვადორული ფეხბურთის ქომაგთა გულებიც უზომო სიხარულით აავსო. აგინაგას ჩინებულმა პასმა, შემდეგ კავიედესის თავურმა ეკვადორელები, პირველად გაიყვანა მსოფლიოს ჩემპიონატზე. კიტოს სტადიონზე თავმოყრილი ორმოცდასამი ათასი კაცი სულ გაგიჟდა.

არადა, ეს ზღვა ხალხი სამოცდამეცამეტე წუთამდე გვარიანად დაზაფრული იყო. ბურთი მეტოქის კარში არა და არ შედიოდა. ამას მექსიკელი მსაჯის მიერ საეჭვო პენალტის დანიშვნაც დაემატა. პირველი ნახევრის მიწურულს ურუგვაელმა ნიკოლას ოლივერამ ხოსე სევალოსს თერთმეტმეტრიანიდან აუღელვებლად გაუტანა.

მეორე ტაიმში მასპინძლებმა უკანმოუხედავად შეუტიეს, ურუგვაი კი კარში ჩადგა. სტუმართა დაცვის ხაზი თითქოს გაუვალი ჩანდა, მაგრამ შეცვლაზე შესულმა აგინაგამ და ივან კავიედესმა გასაღები მაინც მოუნახეს და ეკვადორის ნაკრებს კორეა-იაპონიის ბილეთებიც დაუჯავშნეს.

სამხრეთ ამერიკის შესარჩევი ჯგუფის მესამე თამაში თვით ტემპერამენტიანი სამხრეთამერიკელთათვისაც კი მეტისმეტად დაძაბული და ემოციური გამოდგა. გასაგებია, კოლუმბიელები ყველა ხერხით ცდილობენ, მეხუთე ადგილს მაინც გამოჰკრან ხელი, ხოლო ჩილელთა გლადიატორული თავგანწირვა მოულოდნელი აღმოჩნდა.

ბოგოტაში გამართულ მატჩში სტუმრები ღირსეულად თამაშს შეეცადნენ, კოპა ამერიკას მომგებების შეტევებს მკერდით, სარმით და ათასი ილეთით გადაელობნენ და შედეგიც: ჩილეს ნაკრებმა მატჩი შვიდი კაცით ჩაამთავრა.

კოლუმბიელებმა გაიმარჯვეს და ახლა მომდევნო ტურში არგენტინელების იმედადღა არიან. თუ კონტინენტზე ყველას დამანგრეველები ურუგვაისთან ფრედ მაინც ითამაშებენ, კოლუმბია კი პარაგვაიში იმარჯვებს, მაშინ სანატრელი მეხუთე ადგილი, რომელიც ავსტრალიასთან გადათამაშების უფლებას იძლევა, მათია.



REUTERS ლი ბასილაძე

რივალდო დაღონებული

სამხრეთ ამერიკის ჩემპიონების ამოცანას, ზოგიერთის აზრით, ისიც აიოლებს, რომ პარაგვაელები უკვე კორეა-იაპონიის საგზურის მფლობელები არიან. თუმც ვინ იცის, ბურთი მრგვალია. დღეს უბრძოლველად არავინ არაფერს დათმობს. ამიტომაც ბრაზილიელებს ნაკლებად, ხოლო კოლუმბიელებსა და ურუგვაელებს ძალიან ცხელი ოთხშაბათი ელით.

**გიორგი გამარდაშვილი**

### ბოლივია 3:1 ბრაზილია

0:1 ედილსონი (25), 1:1 პასი (43), 2:1, 3:1 ბალდივიესო (70, 88პ)
ბოლივია: სორია, რიბეირო, ხ. პენა, პას გარსია (კოლკე 67), ო. სანჩესი, როხასი, ოლივარესი, გალინდო (გუტიერესი 56), ბალდივიესო, პასი (კასტილიო 75), ბოტერო
ბრაზილია: მარკოსი, ედმილსონი, ჟუანი (ჟუნინიო პაულისტა 75), ლუსიო, კაფუ, ემერსონი, ვამპეტა (ჟილბერტო 62), ზე რობერტო (დენილსონი 56), სერჟინიო, რივალდო, ედილსონი
მსაჯი: ლუის სოლორსანო ტორესი (ვენესუელა)
20 000 მაყურებელი

### კოლუმბია 3:1 ჩილე

1:0 გრისალესი (19), 1:1 რივეროსი (38), 2:1 პაბლო ანხელი (67), 3:1 გონსალესი (68)
კოლუმბია: ო. კორდობა, გონსალესი, ი. კორდობა, იეპესი, კორტესი, გრისალესი, რესტრეპო, ბოლანო (რ. კასტილიო 47), ვალენტიერა (მინა 74), პაბლო ანხელი, ასპრილია (კასტრო 59)
ჩილე: ს. ვარგასი, ხ. ვარგასი, რობლესი, მუნიოსი, ვილიაროელი, კანსინო, ვილასეკა, ოლსაბალი, რივეროსი (მედინა 72), ნორამბუელა (ალმენდრა 77), ნავია (მარტელი 73)
გაძევება: კანსინო (25), ვილიაროელი (66), ოლსაბალი (79), ვილასეკა (90)
მსაჯი: დანიელ ხიმენესი (არგენტინა)
10 000 მაყურებელი

### ეკვადორი 1:1 ურუგვაი

0:1 ოლივერა (44პ), 1:1 კავიედესი (73)
ეკვადორი: სევალოსი, დე ლა კრუზი, ი. ურტადო, ესპინოზა, გუერონი (ფერნანდესი 68), ობრეგონი, ტენორიო, მენდესი, კალა (აგინაგა 58), კავიედესი (გომესი 77), ა. დელგადო
ურუგვაი: კარინი, ტაისი, ლემბო, მონტერო, ჯიგუ, პაბლო გარსია, დე ლოს სანტოსი, რომერო, ოლივერა (ვ. სანჩესი 52), რეკობა, დარიო სილვა (მორალესი 74)
მსაჯი: ფელიპე რამოს რისო (მექსიკა)
50 000 მაყურებელი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| არგენტინა | 16 | 12 | 3 | 1 | 39:14 | 39 |
| პარაგვაი | 16 | 9 | 3 | 4 | 28:16 | 30 |
| ეკვადორი | 17 | 9 | 3 | 5 | 23:20 | 30 |
| ბრაზილია | 17 | 8 | 3 | 6 | 28:17 | 27 |
| ურუგვაი | 17 | 7 | 5 | 5 | 18:12 | 26 |
| კოლუმბია | 17 | 6 | 6 | 5 | 16:15 | 24 |
| ბოლივია | 17 | 4 | 5 | 8 | 20:32 | 17 |
| პერუ | 16 | 4 | 3 | 9 | 13:22 | 15 |
| ვენესუელა | 16 | 4 | 1 | 11 | 15:40 | 13 |
| ჩილე | 17 | 3 | 2 | 12 | 15:27 | 11 |

### მსოფლიოს ჩემპიონატზე ითამაშებენ

------------ საფრანგეთი (ჩემპიონი) ------------
------------ იაპონია (მასპინძელი) ------------
--------- სამხრეთ კორეა (მასპინძელი) ---------
------------ კამერუნი ------------
------------ ნიგერია ------------
------------ სენეგალი ------------
------------ სამხრეთ აფრიკა ------------
------------ ტუნისი ------------
------------ კოსტა რიკა ------------
------------ არგენტინა ------------
------------ შვედეთი ------------
------------ პოლონეთი ------------
------------ ესპანეთი ------------
------------ რუსეთი ------------
------------ ინგლისი ------------
------------ ხორვატია ------------
------------ პორტუგალია ------------
------------ დანია ------------
------------ იტალია ------------
------------ აშშ ------------
------------ ჩინეთი ------------
------------ საუდის არაბეთი ------------
------------ პარაგვაი ------------
------------ ეკვადორი ------------

მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალური ეტაპის წილისყრა გაიმართება ბუსანში (სამხრეთ კორეა) 1 დეკემბერს



REUTERS კოჭიაშვილი

ეკვადორული ფეხბურთის უდიდესი დღე

# მათეუს-საათის საიდუმლო

## ფიოლერს შევჩენკოსი შორიდანაც ეშინია



*უახლოეს ერთ კვირაში გასამართი მსოფლიოს ჩემპიონატზე მოსახვედრი პლეი ოფებიდან, ალბათ, ყველაზე საინტერესო წყვილი უკრაინა – გერმანიაა. უკრაინა მესამედ შეეცდება ამ წინაღობის დაძლევას, გერმანიას კი „საშემოდგომო" პირველად გამოჰყვა.*

*რომელიმე მათგანი კორეა-იაპონიას მიღმა უნდა დარჩეს, არადა, გულშემატკივრებს არც ერთი ემეტებათ.*

*პირველი თამაში ამ შაბათს კიევშია. გთავაზობთ ბუნდეს მწვრთნელ რუდი ფიოლერის ინტერვიუების ერთგვარ ნაზავს, რომელიც მან ბოლო დღეებში მისცა გერმანულ გამოცემებს.*

**— ჰერ ფიოლერ, როგორ მოემზადა გერმანიის ნაკრები პლეიოფისთვის? მეტოქეზე თუ გაქვთ ამომწურავი ინფორმაცია?**

— თეორიულად ყველაფერი წესრიგშია. მინდორზე კი ცოტა სხვაგვარად ხდება ხოლმე, ვიდრე ამას მწვრთნელი და ფეხბურთელები ფიქრობენ. ბოლო დღეებში უკრაინელთა თამაშის არა ერთი ჩანაწერი ვნახეთ. ბევრ მოთამაშეს კიევის „დინამოდან" ვიცნობთ. უკრაინელების ზეწოლა დიდი იქნება, ამიტომ დარჩენილ დროში, ამ მხრივ, ფეხბურთელებთან სერიოზულად ვიმუშავებთ. მთავარი ხომ ჩვენი მომზადების ხარისხია.

**— კიევში ჟინიანი გუნდი და 83 ათასი მაყურებელი დაგიპირისპირდებათ. ფსიქოლოგიურად მზად ხართ?**

— ჩვენს ფეხბურთელებს ბუნდესლიგასა და ჩემპიონთა ლიგაში თამაშის დიდი გამოცდილება აქვთ. ისიც არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ არცთუ შორეულ წარსულში „უემბლიზე" ინგლისი დავამარცხეთ, სადაც ვითარება ნაკლებ დამუხტული არ იყო. ამიტომ, ვფიქრობ, ფსიქოლოგიურად მზად ვართ. თანაც ასეთი სიტუაცია ფეხბურთელებს მებრძოლი ხასიათის გამოვლენის საშუალებას მისცემს.

**— ანდრეი შევჩენკო ძალიან საშიშია?**

— ძალიან. თუმცა მიმაჩნია, რომ თუ მას სივრცეს შევუზღუდავთ და მარტო არ დავტოვებთ, ამოცანა გაგვიოლდება. ვიცით, რომ ლობანოვსკი შევჩენკოს სრულ თავისუფლებას აძლევს, ამიტომ, თუნდაც ჩვენი საჯარიმოდან შორს იყოს, ფხიზლად უნდა ვუდარაჯოთ. ამ თავდამსხმელის შესახებ ყველაფერი ვიცით, მაგრამ სწორად გამიგეთ, მისი სრული გაუვნებლების გარანტიას ვერ მოგცემთ.

**— თქვენი აზრით, უკრაინის ნაკრები „ერთი მსახიობის" ანდრეი შევჩენკოს „თეატრია"?**

— ასეცაა და არც არის ასე. ერთის მხრივ, ის სუპერვარსკვლავია. მაგრამ ჩინებული პარტნიორებიც ჰყავს. მაგალითად, რებროვი შეტევაში და ლუჟნი დაცვაში. ისინი მაღალი კლასის მოთამაშეები არიან, თანაც ცოტა ხნის წინ „დინამოში" ერთად თამაშობდნენ. ასე რომ, უკრაინა ძლიერი ფეხბურთელებით დაკომპლექტებული ნაკრებია.

**— უნდა გვეშინოდეს?**

— არა, შიში რა მოსატანია. უბრალოდ, მეტოქეს ჯეროვანი პატივი უნდა ვცეთ და დავაფასოთ. ეს მატჩები სათასოს ჰგავს, ამიტომ ყველაფერი შეიძლება მოხდეს. ჩვენ კიევშივე ვეცდებით საკუთარი შანსის პოვნას. თუ ვერ მოვახერხეთ, საქმის გამოსწორება დორტმუნდშიც შეგვეძლება. თუმცა, უკრაინელებიც ასევე ფიქრობენ...

**— ნაკრების კანდიდატებზე ბუნდესლიგის მწვრთნელებს თუ ესაუბრეთ?**

— რა თქმა უნდა, ჰიცფელდს, ტოპმიოლერსა და ზამერს ველაპარაკე „ბაიერნის", „ლევერკუზენისა" და „დორტმუნდის" ფეხბურთელები ხომ ნაკრების ბირთვს შეადგენენ.

**— დაისლერი უკრაინასთან ვერ ითამაშებს. როგორ არის ნოვოტნის, შოლისა და იანკერის ჯანმრთელობის საქმეები?**

— ცოტა უჩვეულო ვითარებაში აღმოვჩნდით. ნიადაგ ამა თუ იმ მოთამაშის გამოჯანმრთელებას ველით. ალბათ, იგივე გაგრძელდება დორტმუნდის მატჩამდე. ახლა რამის თქმას აზრი არ აქვს, ორიოდ დღე მოვიცადოთ და ექიმები ყველაფერს გვეტყვიან.

**— ნაკრების კანდიდატების ბუნდესლიგის ბოლო ტურში თამაშს როგორ შეაფასებდით?**

— ჩინებულად ითამაშა მიხაელ ბალაკმა. ორი გატანილი გოლიც ამაზე მეტყველებს. ძალიან გამიხარდა იანკერისა და ციკლერის გამოჯანმრთელების ამბავიც. ოღონდ, ვათამაშებთ თუ არა იანკერს, მატჩის წინ გაირკვევა. ციკლერი ამბობს, რომ ჩვეული ფორმის დასაბრუნებლად ერთი კვირა კიდევ სჭირდება. ვნახოთ, თავი მოაწონა „დორტმუნდის" შუახაზელმა ლარს რიკენმაც. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ნაკრების „შემქმნელი ბირთვი" ჯანზეა.

**— ახლახან განაცხადეთ, რომ ნაკრებში თქვენი მომავლის თაობაზე უკრაინასთან მატჩებამდე გაერკვეოდით...**

— ცხადია, მომავალზე სულ ვფიქრობ და ეს ლოგიკურიცაა, მაგრამ გადაწყვეტილებისთვის ჯერ დრო მჭირდება. როცა ინგლისთან წავაგეთ, ნათელი იყო, ჯგუფში მეორე ადგილს მაინც დავიკავებდით, მაგრამ პლეი ოფში თამაში სამარცხვინო არ არის. ყველაფრის გამოსწორების შანსი ჯერ კიდევ გვაქვს.

**— გამოდის, უკრაინის მერე გადაწყვეტთ?**

— განა ახლა ამის სასწრაფო აუცილებლობაა? პლეი ოფის შემდეგ ვნახოთ.

**— ბუნდესნაკრების სამუშაო გეგმა როგორია?**

— სამშაბათს სასტუმრო „კემპინსკიში" შევიკრიბეთ. ოთხშაბათს ორი ინტენსიური ვარჯიში ჩავატარეთ, ხუთშაბათს სამის ნახევარზე ჩარტერული რეისით კიევში გავემგზავრებით. იმასაც გეტყვით, რომ ამჯერად ტრადიციული იტალიური ვახშამი არ გაიმართება. ახლა გართობის დრო არ გვაქვს.

**— გერმანია ორივე მატჩს იღბლიანი თეთრ-შავი ფორმით ჩაატარებს. თქვენ თუ გაქვთ საკუთარი თილისმა?**

— დიახ, „მათეუს-საათი" მაქვს. ეს შვეიცარიული ქრონომეტრი ლოთარ მათეუსმა გამოსათხოვარი მატჩისას მისახსოვრა. ვფიქრობ, ბედნიერებას მომიტანს, ამ კვირაში მაინც...




კარლო ანჩელოტიმ (შუაში) კახა კალაძე (მარცხნივ) და მილანელები პირველად ავარჯიშა

# მილანმა თურქეთი დაკარგა

## მალდინი თერიმს გაეტირა და ანჩელოტის შეეგება

*გუშინ და გუშინწინ უკვე ვწერდით, თუ რა გამოხმაურება მოჰყვა იტალიურ „პარმასა" და „მილანში", შესაბამისად, დანიელ პასარელასა და კარლო ანჩელოტის დანიშვნას. ეს თემა კვლავაც განვავრცოთ.*

„მილანით" და ანჩელოტით დავიწყოთ და თავდაპირველად „შავ-წითელთა" კაპიტან პაოლო მალდინის ნაუბარს გავეცნოთ: „თერიმის ჩავარდნა მთელი გუნდის ჩავარდნა იყო. ჩვენ, ფეხბურთელებიც დამნაშავენი ვართ იმაში, რომ ზოგიერთი მისი დარიგება პრაქტიკულად ვერ შევასრულეთ: მე მაშინ შევიტყვე თერიმის დათხოვის ამბავი, როცა ყველაფერი გადაწყვეტილი იყო. მასთან მომავალშიც საუკეთესო ურთიერთობები მექნება. იმასაც ვიტყვი, რომ „მილანში" მუშაობის პირველივე დღიდან თერიმზე პრესა გარკვეულ ზეწოლას ახდენდა. ჯერ კიდევ ზაფხულში გავიგე ჭორი, რომ „სან სიროზე" ანჩელოტის მოყვანას აპირებდნენ, რაც საბოლოოდ განხორციელდა კიდეც".

ვილრე კარლო ანჩელოტიზე მალდინის აზრს გავაცნობდეთ, გათავისუფლებულ თერიმისაც დავუთმოთ სიტყვა: „ხელმძღვანელობის გადაწყვეტილება ვითარების არაადეკვატური იყო, თუმც მე ეს არ გამკვირვებია, რადგან ჩემპიონატის დაწყების პირველი დღიდანვე ველოდი მათგან ამ ნაჯიბს. ჩინებულად გამოიყენეს ის დრო, როცა სტამბოლში ვიყავი და არც დამლაპარაკებიან, ისე მომხსნეს".

თუ რამდენიმე დღის წინ თურქეთში ყველაზე პოპულარული უცხოური კლუბი „მილანი" იყო, თერიმის მოხსნის შემდეგ იქ „შავ-წითელთა" რეიტინგი მკვეთრად დაეცა. ამ ფაქტს თურქეთის ნაკრების მწვრთნელი შენოლ გიუნეშიც ადასტურებს: „თურქეთში „მილანისადმი" დამოკიდებულება საპირისპიროდ შეიცვალა. ის მაღაზიები, რომლებიც სპორტული საქონლით ვაჭრობენ, აცხადებენ, რომ ამიერიდან „მილანის" ატრიბუტიკის გაყიდვა არარენტაბელური იქნება, მოთხოვნა დაეცა. თერიმს კი უსამართლოდ მოექცნენ, ის ამას არ იმსახურებდა".

გავრცელდა ცნობაც, რომ თერიმის იტალიიდან წასვლამ სწორედ რომ გიუნეშს მიაყენა პირდაპირი დარტყმა, რადგან ახლა ფათიჰს ნაკრების მწვრთნელად დანიშვნას უპირებენო. „გალათასარაის" ყოფილმა თავკაცმა წამსვე უარყო ეს ხმები და განაცხადა, რომ ჯერ კიდევ ორიოდ დღის წინ იგი „მილანის" ტაქტიკურ სქემებზე ფიქრობდა და ნაკრებში მუშაობაზე არც ფიქრობს. სხვა წყაროებით, თერიმთან „ბეშიქთაშის" ხელმძღვანელობა აწარმოებს მოლაპარაკებას, რათა თურქი კრისტოფ დაუმის ნაცვლად მიიწვიოს. ლაპარაკობენ ფათიჰის „გალათასარაიში" დაბრუნებაზეც.

„მილანის" ვიცე-პრეზიდენტი ადრიანო გალიანი კი საკითხს ფილოსოფიურად უდგება: „კარლო ანჩელოტის „პარმასთან" რომ მოესწრო კონტრაქტის გაფორმება, ხოლო ფილიპო ინძაგის „ტორინოსთან" პენალტი გაეტანა, არ ვიცი, საქმე როგორ აეწყობოდა. თერიმი ახლა „მილანის" მწვრთნელი აღარაა, თუმც მისი საწინააღმდეგო არაფერი გვაქვს. „სან სიროზე" ანჩელოტის დაბრუნებაც ძალიან მნიშვნელოვანია. საოცარი კია, „პარმასა" და ჩვენი ინტერესები წლეულს უკვე მეორედ დაემთხვა ერთმანეთს. რუი კოშტას შეძენა მათაც სურდათ, ისევე როგორც ანჩელოტის მიწვევა, თუმცა ორჯერვე ჩვენ დავრჩით გამარჯვებული".

ანჩელოტის მისვლაზე მილანელთა კაპიტნის დაპირებული აზრიც: „კარლოსთან ერთად ვთამაშობდი, კარგი პარტნიორი იყო და ახლაც მეგობრებად ვრჩებით. მოედანზე ყოფნის დროსაც მას მწვრთნელის თვისებები ჰქონდა, ლიდერობდა და წამდაუწუმ გვამხნევებდა".

ანჩელოტის კიდევ ერთი ძველი თანამებრძოლის, სებასტიანო როსის აზრიც საინტერესო უნდა იყოს, რადგან ანჩელოტის მცველობისას სებასტიანო „მილანის" კარს იცავდა და ჯერჯერობით კვლავაც გუნდშია. როსი ამბობს: „მთავარი ურთიერთდაფასებაა. კარლო ჩემი ძველი მეგობარია დ ახლა, როცა მწვრთნელიც გახდა, დარწმუნებული ვარ, ჩვენი ურთიერთობა არ შეიცვლება, თუმცა მუშაობის დროს მე ფეხბურთელი ვარ, ის — მწვრთნელი".

ძველი გვარდიისგან განსხვავებით, თომას ჰელვეგი ანჩელოტის მეგობარი არ არის, მაგრამ: „მომწონს ანჩელოტის მენტალიტეტი. ჩვენ მას ხელი უნდა შევუწყოთ. ოპტიმისტურად ვარ განწყობილი და მჯერა, რომ ყველაფრის მოგება შეგვიძლია".

„მილანიდან" ასეთი ცნობაცაა — კარლო ანჩელოტიმ პირველივე დღეს სურვილი გამოთქვა, თავის გუნდში ანტონიო კონტე და ალესანდრო ბირინდელი გადაიყვანოს, რომელთაც იგი „იუვენტუსიდან" იცნობს.

„მილანზე" ლაპარაკი ამით დავასრულოთ და „პარმაზე" გადავიდეთ.

ბუენოს აირესიდან პარმაში უკვე მწვრთნელის სტატუსით ჩასულმა დანიელ პასარელამ პრესკონფერენციაზე პირველად ეს თქვა: „მიმაჩნია, რომ გუნდს აქვს პოტენციალი, წლეულს სერია ⓐ პირველ ათეულში დაასრულოს. ამას დიდი შრომითა და ურთიერთთანხმობით უნდა მივაღწიოთ. „პარმა" კარგად დაკომპლექტებული გუნდია. ლიდერები იტალიელები და არგენტინელები არიან. ჩემი მიზანია, ურთიერთპატივისცემა და გაგება დავთესო".

იქვე პასარელამ კარლო ანჩელოტიზეც ჩამოაგდო სიტყვა. კერძოდ კი იმაზე, რომ „პარმას" მწვრთნელობის უპირველეს კანდიდატად ანჩელოტის მიიჩნევდნენ. არგენტინელმა თქვა: „არც გამკვირვებია, როცა შევიტყვე, რომ „პარმამ" კარლოსთან წამოიწყო მოლაპარაკება. კარლიტოს კარგად ვიცნობ, მის წინააღმდეგ მითამაშია და ისიც ვიცი, რომ კარგი მწვრთნელია. თუმცა ახლა, როცა „პარმას" თავკაცის პოსტი მე მერგო, მსურს, ვისიამოვნო ამ ჩინებული ქალაქის ატმოსფეროთი, რომელსაც ხასიათს, ალბათ, ჩვენს მიერ ნაჩვენები შედეგი მნიშვნელოვნად გამოუსწორებს".

არგენტინის ნაკრების ყოფილი მწვრთნელის მოსაზრება ზოგადად იტალიურ ფეხბურთზე ასეთია: „აპენინურ ფეხბურთს ბრწყინვალედ ვიცნობ და ვიცი, რომ ეს ისეთი სამყაროა, სადაც თამაშიც ძნელია და მწვრთნელობაც. ფრანგული, არგენტინული და ესპანური კლუბებიც მეპატიჟებოდნენ, მაგრამ აქ ჩამოსვლა ვარჩიე, რადგან სწორედ სერია ⓐ-ს რომელიმე კლუბის გაწვრთნა მსურდა".

სულ ბოლოს კი პასარელას თანაშემწეზეც ვთქვათ, „ლიდს იუნაიტედის" ყოფილ ფორვარდ ალეხანდრო საბელაზე. ის ერთ-ერთი პირველი არგენტინელი იყო ინგლისის ლიგაში, როცა 70-იანების ბოლოს, „შეფილდ უენსდიში" ჩაირიცხა. საბელა პასარელას თითქმის ყოველთვის გვერდში ედგა. მათი ურთიერთობა „რივერ პლეიტიდან" დაიწყო, ხოლო შემდეგ არგენტინისა და ურუგვაის ნაკრებებშიც გაგრძელდა.

**ნიკა შუბლაძე**




დანიელ პასარელა და „პარმის" პრეზიდენტი სტეფანო ტანზი

# ესპანეთი

## II დივიზიონი. XIII ტური

**პოლი ეხიდო 1:1 კორდობა**

0:1 ველიტონი (10), 1:1 სერხიო კრუზი (42)

**ეიბარი 7:0 ლევანტე**

1:0 გარიტანო (1), 2:0 სუკია (17), 3:0 გერერო (22), 4:0 სუკია (45), 5:0, 6:0 გერერო (51, 61), 7:0 სანჩესი (78)

**ბურგოსი 1:3 უელვა**

0:1 დავიდი (24), 0:2 რაულ მოლინა (74), 1:2 ისაილოვიჩი (78), 1:3 ებიტიე (86)

**ხიმნასტიკი 0:1 ალბასეტე**

0:1 ხოსე (32)

**ოვიედო 0:0 ნუმანსია**

**რასინგი 2:1 სპორტინგი**

1:0 ხუანმა (11), 2:0 ბოდიპო (60), 2:1 ალბერტო (87)

**ატლეტიკო 4:0 ელჩე**

1:0 ტორესი (22), 2:0 დიეგო ალონსო (45პ), 3:0 დანი (65), 4:0 კორეა (90)

**ესტრემადურა 0:4 ბადახოსი**

0:1 ოსკარ სანჩესი (42), 0:2 ზაფრა (52), 0:3 მოლისტი (63), 0:4 ბრაკამონტე (87)

**ხაენი 0:1 სალამანკა**

0:1 მაკუკულა (30)

**ხერესი 3:1 მურსია**

0:1 კარერო (68), 1:1 ფალი მონტესი (80), 2:1 პინედა (86), 3:1 ვიკეირა (90)

**ფეროლი — ლეგანესი**

*წუხელ გვიან დამთავრდა (იხ. მეორე გვერდზე) და მისი შედეგი ცხრილში შეტანილი არაა*

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ატლეტიკო | 13 | 9 | 3 | 1 | 25:8 | 30 |
| ხერესი | 13 | 8 | 1 | 4 | 17:12 | 25 |
| უელვა | 13 | 6 | 4 | 3 | 15:10 | 22 |
| ოვიედო | 13 | 5 | 6 | 2 | 12:6 | 21 |
| ალბასეტე | 13 | 6 | 3 | 4 | 13:8 | 21 |
| ეიბარი | 13 | 5 | 5 | 3 | 16:7 | 20 |
| ბურგოსი | 13 | 6 | 2 | 5 | 12:12 | 20 |
| ფეროლი | 11 | 5 | 3 | 3 | 15:12 | 18 |
| სალამანკა | 13 | 4 | 6 | 3 | 18:17 | 18 |
| რასინგი | 13 | 4 | 6 | 3 | 12:12 | 18 |
| ხაენი | 13 | 5 | 3 | 5 | 9:14 | 18 |
| ნუმანსია | 13 | 4 | 5 | 4 | 15:14 | 17 |
| სპორტინგი | 13 | 4 | 4 | 5 | 16:16 | 16 |
| კორდობა | 13 | 4 | 3 | 6 | 14:15 | 15 |
| მურსია | 13 | 3 | 6 | 4 | 12:14 | 15 |
| ლეგანესი | 12 | 3 | 6 | 3 | 8:10 | 15 |
| ელჩე | 13 | 3 | 6 | 4 | 8:15 | 15 |
| ესტრემადურა | 13 | 3 | 4 | 6 | 11:15 | 13 |
| ბადახოსი | 13 | 3 | 3 | 7 | 8:13 | 12 |
| ლევანტე | 13 | 2 | 5 | 6 | 8:19 | 11 |
| ხიმნასტიკი | 12 | 1 | 5 | 6 | 9:16 | 8 |
| ეხიდო | 13 | 1 | 5 | 7 | 13:21 | 8 |

## თასის 1/32 ფინალი

**კომპოსტელა 1:2 ალავესი**

**მარინო 1:4 დეპორტივო**

**გრამანეტი 1:2 ოსასუნა**

**ფიგერესი 1:0დ.დ. (0:0) ბარსელონა**

1:0 გარიდო (92)

ბარსელონა: რეინა, პუიოლი, ანდერსონი, ნავარო, ხავი, როჩემბაკი, ხერარდი, ოვერმარსი (ტრაშორაში 94), ჯოვანი, ალფონსო (მოტა 53), სავიოლა (დანი 70)

მწვრთნელი: კარლოს რექსაჩი

9 500 მაყურებელი

**რა უნდა მოხდეს**, რომ უცხო ქვეყნის თასის გათამაშების ადრეულ ეტაპზე მესამე დივიზიონის გუნდის მატჩი მიმოვიხილოთ? რა და, ამ გუნდმა დიდი სენსაცია უნდა მოახდინოს.

აი, სენსაციაც — ესპანეთის სამეფო თასის ოცდამეთორმეტედფინალში კატალონიურმა „ფიგერესმა“ უფროს ძმას, „ბარსელონას“ 1:0 მოუგო.

კეთილი, „ბარსელონას“ აკლდნენ რივალდო და პატრიკ კლუივერტი, შემადგენლობაში კი ჰყავდა ფერნანდო ნავარო, რომელიც ახალი სახეა კარლოს რექსაჩის გუნდში, მაგრამ დანარჩენები? ხოსე მანუელ რეინა, კარლოს პუიოლი, პატრიკ ანდერსონი, ფაბიო როჩემბაკი, ხავი, ხერარდი, ალფონსო, ჯოვანი, სავიოლა და ოვერმარსი — ეს ხომ ის ხალხია, „ფიგერესის“ დონის გუნდებს, ცალი ფეხით რომ უნდა უგებდეს?

„ბარსელონამ“ თავიდანვე შეუტია, მაგრამ მალევე ცხადი გახდა, რომ მესამე დივიზიონში მერვე ადგილზე მყოფი გუნდი გამართულ ფეხბურთს თამაშობდა — მეტოქეს ცარიელი სივრცეები არ დაუტოვა და მჭიდრო პრესინგს მიმართა. მეტიც, რეინამ იყოჩაღა, თორემ დამატებითი დრო ეგებ, საჭირო აღარც ყოფილიყო.

გამარჯვების გოლი კი პირველი დამატებითი ტაიმის მეორე წუთზე გაიტანა კალი გარიდომ, რომელმაც საჯარიმოს კუთხიდან დაარტყა, რეინას კი მცველები ეფარებოდნენ და ბურთი ვერ დაინახა.

გოლის გატანა და ათი ათასი ფიგერესელი ქომაგის მინდორზე გადახტომა ერთი იყო. „ბარსელონა“ კი მერვე პრიმერადივიზიონული გუნდი შეიქნა, სამეფო თასზე ფიქრს რომ დაემშვიდობა. სხვა შვილნი არიან: თასის მფლობელი „სარაგოსა“, „სევილია“, „ესპანიოლი“, „რეალ სოსიედადი“, „რეალ ბეტისი“, „ტენერიფე“ და „ვალენსია“. ამათგან, შეგახსენებთ, „ვალენსიას“ მინდორზე უცხოელთა ყოლის ლიმიტის დარღვევისთვის ტექნიკური მარცხი ჩაეთვალა.

**გიორგი დარჯანია**





გაგდებულნი: კირონ დაიერი, კარლ კორტი, კრეიგ ბელამი და ენდი გრიფინი

# და იარა დაიერმა...

## პურმარილზე წიხლისმკვრელებს წიხლი ჰკრეს

**„მორჩა,** ეს ბოლო გაფრთხილებაა, ჩათვალე, რომ უკანასკნელ ვაგონში ზიხარ, რომელსაც კიდევ ერთ მსგავს შემთხვევაში ხელის აუკანკალებლად ჩამოვაშორებ ჩვენს მატარებელს“ — „ნიუკასლ იუნაიტედის“ მწვრთნელი ბობი რობსონი ცოფებს ყრიდა. მიმართვის ადრესატი კი ამ კლუბის 22 წლის ნახევარმცველი კირონ დაიერი გახლდათ — ინგლისის ნაკრების წევრი და 20 მილიონ გირვანქად შეფასებული ფეხბურთელი გუშინწინ ესპანეთიდან შინ გამოაძევეს.

არა, ნამდვილი გოიმია ეს ჩვენი დაიერი. სხვა თუ არაფერი, ისეთ პატივცემულ პიროვნებას, მსოფლიოში სახელგანთქმული მწვრთნელი ბობი რობსონი რომ ბრძანდება, ასეთი რამ ნამდვილად არ უნდა აკადრო. ამიტომაც იყო, რომ კირონისა და მისი ძმაკაცების უმსგავსო საქციელის გაგებისთანავე გუნდის თავკაცმა ნახევარმცველის პირველივე რეისით შინ დაბრუნება ბრძანა. ამასთანავე, დებოშის ოთხივე მონაწილე ორ-ორი კვირის ხელფასის დაქვითვით დააჯარიმეს.

მაინც რა მოხდა ასეთი?

„ასტონ ვილას“ 3:0 დამარცხების შემდეგ „ნიუკასლის“ პრეზიდენტმა სერ ჯონ ჰოლმა ბიჭების წახალისება გადაწყვიტა და საგანგებო რეისით ესპანურ მარბელაში წაასხა, სადაც საკუთარი ვილის ახლობლად მდებარე „ვესტინ ლა კუინტას“ სასტუმროში, 350-დოლარიან ნომრებში დაასახლა. იმხიარულეთ, დრო გაატარეთ, ოღონდ საღამოს ჩემთან სადილზე მობრძანდითო — ესაც დაუბარა.

ყველამ დააფასა პრეზიდენტისა და კლუბის ლამის სიმბოლოდ ქცეული კაცის პატივისცემა, გარდა ოთხისა: კირონ დაიერი, ენდი გრიფინი, კარლ კორტი და „ვილას“ კარში გოლის გამტანი კრეიგ ბელამი სადილზე არ მივიდნენ. სამაგიეროდ, წავიდნენ ლუდხანაში, გვარიანად გამოთვრნენ და იქაურებს აეტორღიალნენ. როგორც პაბის პატრონმა თქვა, ჩხუბის დროს არავინ დაშავებულა, თუმც ავეჯი დაზიანდა. საბოლოოდ, მალიორკელმა ბიჭებმა მომხვდურები ძალით გამოაგდეს.

დილით დაიერი უკვე ნიუკასლში იყო და ბოდიშებს იხდიდა. რატომ მხოლოდ დაიერი? იმიტომ, რომ დანარჩენი სამი ადრე ასეთ ქცევაში შემჩნეული არ ყოფილა, 22 წლის ვარსკვლავისთვის კი არც ეს ინციდენტია პირველი და არც ბოდიშის მოხდა.

2000 წლის 26 მარტს მთვრალმა დაიერმა შეურაცხყოფა მიაყენა ორ გოგოს და პოლიციაში მხოლოდ იმიტომ არ მოხვდა, რომ დაზარალებულებმა დაინდეს და არ უჩივლეს; იმავე წლის 5 ივნისს, ევროპის ჩემპიონატის დაწყებამდე ცოტა ხნით ადრე დაიერი, რიო ფერდინანდი და ფრენკ ლამპარდი კვიპროსის ერთ-ერთ პლაჟზე გაილეშნენ და იქვე, ხალხის თვალწინ, მავან ქალბატონებთან სექსი გააჩაღეს; აღარც სასმელის რაოდენობა მახსოვს და აღარც ქალებისო, აღიარა მაშინ კირონმა და მოიბოდიშა, მაგრამ 22 დღის მერე ანუ 27 ივნისს, იფსვიჩის ერთ-ერთ ღამის კლუბში კვლავ გამოთვრა და აყალმაყალი ატეხა; წლეულს, 28 აპრილს თავისი 50-ათასიანი „მერსედესით“ მანქანას შეეჯახა, 10 ივლისს კი 104 მილით მქროლავი პოლიციამ დააკავა და მართვის უფლება ორი თვით ჩამოართვა.



ბობი რობსონი

ინგლისში ცნობილ ხალხს ასეთ რამეს არ პატიობენ. ისწავლის ჭკუას აწ უკვე ბოლო ვაგონში მყოფი დაიერი?

**გიგა ძოწახიძე**

# ინგლისი

## I დივიზიონი

**გადადებული მატჩი**

**ბირმინგემი 0:1 ვესტ ბრომვიჩი**

0:1 ჯონსონი (37)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ვულვზი | 17 | 10 | 4 | 3 | 28:14 | 34 |
| ვესტ ბრომვიჩი | 18 | 10 | 2 | 6 | 22:16 | 32 |
| ნორვიჩი | 17 | 10 | 2 | 5 | 23:18 | 32 |
| კრ. პალასი | 16 | 10 | 1 | 5 | 37:22 | 31 |
| ქოვენთრი | 17 | 9 | 4 | 4 | 22:14 | 31 |
| სიტი | 17 | 9 | 3 | 5 | 42:26 | 30 |
| ბარნლი | 17 | 9 | 3 | 5 | 35:27 | 30 |
| პრესტონი | 17 | 8 | 5 | 4 | 29:20 | 29 |
| მილუოლი | 16 | 8 | 3 | 5 | 29:19 | 27 |
| ბირმინგემი | 18 | 7 | 5 | 6 | 30:24 | 26 |
| პორტსმუთი | 17 | 7 | 5 | 5 | 27:22 | 26 |
| ნოტინგემი | 17 | 6 | 6 | 5 | 18:15 | 24 |
| უოტფორდი | 16 | 7 | 2 | 7 | 29:24 | 23 |
| უიმბლდონი | 17 | 6 | 5 | 6 | 31:28 | 23 |
| ბრედფორდი | 17 | 6 | 4 | 7 | 32:35 | 22 |
| ქრიუ | 17 | 5 | 5 | 7 | 16:25 | 20 |
| როტერჰემი | 18 | 4 | 7 | 7 | 23:30 | 19 |
| შეფილდი | 18 | 4 | 7 | 7 | 15:23 | 19 |
| გრიმსბი | 18 | 5 | 3 | 10 | 19:37 | 18 |
| ჯილინგემი | 16 | 5 | 2 | 9 | 24:28 | 17 |
| უენსდი | 18 | 4 | 5 | 9 | 19:32 | 17 |
| უოლსოლი | 17 | 4 | 4 | 9 | 18:28 | 16 |
| ბარნსლი | 17 | 3 | 4 | 10 | 18:38 | 13 |
| სტოკპორტი | 17 | 1 | 5 | 11 | 18:39 | 8 |

## ამხანაგური მატჩი

**სამხრეთ კორეა 0:1 სენეგალი**

0:1 დიოპი (43)

რეკლამა სარბიელ-ში
Tel: 39 40 08, 93 16 08;
Fax: 94 33 80

# ...მის გამო კბენა მომინდა

**ინგლისის** ქალაქ ჰალში გახმაურებული სასამართლო პროცესი გრძელდება. გახსოვთ ალბათ, შარშან აზიელ სტუდენტ სარფრაზ ნაიჯებს რომ სცემეს. ისიც გეცოდინებათ, რომ ამ საქმესთან ორი ლიდსელი, ლი ბოიერი და ჯონათან ვუდგეიტი მჭიდროდაა დაკავშირებული. ამბობენ, მათთან ერთად ცემატყეპაში ფეხბურთელთა ორი მეგობარიც მონაწილეობდაო. სასამართლოზე ერთ-ერთი მათგანის სახელი, უფრო სწორად კი, კბილები ამოტივტივდა.



სარფრაზ ნაიჯების ლოყაც ჩაუკბეჩიათ

როგორც ექსპერტი ამტკიცებს, ნაიჯიებს ლოყაზე ვინმე პოლ კლიფორდის კბილების ანაბეჭდები ემჩნეოდა. ლიდსელები და მათი თანამეინახეები უარზე დგანან, რა ჩხუბი, რის აყალმაყალი, არაფერი ვიცითო. ექსპერტი ჯეფრი კრეიგი სრულიად საპირისპიროს ამტკიცებს. მან თურმე დაწვრილებით შეისწავლა დაზიანებულის ფოტოები და მერე პირადად გამოიკვლია. „უეჭველია, რომ ეს ერთ-ერთი თავდამსხმელის ქვედა ყბის კბილებია“— ირწმუნება კრეიგი. მას ეჭვიც არ ეპარება, რომ აზიელ სტუდენტს ჭრილობა პოლ კლიფორდმა მიაყენა. სასამართლო გუშინაც გაიმართა. მკბენარას ვინაობა და მტყუან-მართალი, ალბათ, მალე გაირკვევა.

**გაგა ხუციშვილი**

# რაზე ფიქრობდა, როცა მიქროდა?

**შოტლანდიური** „რეინჯერსის“ ფეხბურთელი ლორენცო ამორუზო გლაზგოში პატივცემული კაცია. მისი წლიური შემოსავალი მილიონ გირვანქაზე მეტია. ჰოდა, კარგი ცხოვრებისგან გალაღებული ვაჟკაცი შოტლანდიის ერთ-ერთ რთულ გზატკეცილზე საკუთარ ავტომობილს მიაქროლებდა. ფიქრებში წასულმა სრულიად შემთხვევით სიჩქარის დაშვებულ ზღვარს გადააჭარბა. მან, რა თქმა უნდა, ისიც არ იცოდა, რომ იმ გზაზე წლეულს ავტოსაგზაო შემთხვევებმა 12 ადამიანი იმსხვერპლა. თქვენ წარმოიდგინეთ, ლორენცომ საკუთარი ხელით მისწერა წერილი ქალაქ პერთის სასამართლოს, რომელშიც თავი დამნაშავედ ცნო. სასამართლომაც ასე ჩათვალა და ფეხბურთელი 260 ფუნტით დააჯარიმა. დამნაშავემ ეს თანხა ათი კვირის განმავლობაში ნაწილ-ნაწილ უნდა დაფაროს. „კონცენტრაცია სრულიად დავკარგე. ვაღიარებ ჩემს დანაშაულს და ვინანიებ. აი, უკვე ექვსი წელია, შოტლანდიაში ვცხოვრობ და ასეთი რამ პირველად შემემთხვა“ — ბრძანა ამორუზომ. ეტყობა, რომ გულწრფელმა აღიარებამ მოსამართლეზე შთაბეჭდილება მოახდინა და ფეხბურთელიც მკაცრად აღარ დასაჯა.

**გაგა ხუციშვილი**

## ფეხბურთის რუკასთან



**შვედი** იესპერ ბლომკვისტი „ევერტონმა“ „მანჩესტერ იუნაიტედიდან“ სეზონის ბოლომდე გადაიყვანა, თუმც შემდეგ შესაძლოა უფრო ხანგრძლივი ხელშეკრულებაც გაუფორმოს. „მილანისა“ და „პარმას“ ყოფილი მოთამაშე „იუნაიტედის“ შემადგენლობაში ბოლო ხანს თითქმის არ გამოჩენილა, ძირითადი შემადგენლობიდან იგი ორი წელია, ამოვარდა. „როცა შევიტყვე, რომ „მანჩესტერი“ ბლომკვისტის გაშვებაზე თანხმდებოდა, შევეცადე იგი ხელში ჩამეგდო. მჯერა, შვედის გამოცდილება „ევერტონს“ ძალიან გამოადგება — განაცხადა ლივერპულელთა თავკაცმა უოლტერ სმიტმა.

**ნორვეგიის ნაკრების ნახევარმცველი ტიამი სვინდალ ლარსენი „ნიურნბერგმა“ „სტაბეკისგან“ შეიძინა და მასთან სამწლიანი კონტრაქტი გააფორმა. ბუნდესლიგის აუტსაიდერთა მწვრთნელმა კლაუს აუგენტალერმა იმედი გამოთქვა, რომ ნორვეგიელის გადასვლა გუნდში ვითარებას სასიკეთოდ შემოაბრუნებს. „თავდასხმაში გვიჭირს და სწორად მოვიქეცით, შემდეგი ნახევარმცველი რომ შევიძინეთ. ის „სტაბეკის“ შემადგენლობაში ძალიან ძლიერად თამაშობდა“ — განუცხადა მწვრთნელმა „ნიურნბერგის“ საინტერნეტო გვერდს.**

— არა, უფრო სწორი იქნება, თუ ვიტყვით, ჩვენ პარტნიორები და კომპანიონები ვართ. ჩვენ ერთად ვმუშაობთ. მე კომპანია „აზია ტრეკინგის" პრეზიდენტი ვარ. მთამსვლელთა მრავალ ექსპედიციას ვაწყობთ. ტიბეტიდან ევერესტზე მოწყობილი ექსპედიციების ნახევარი „აზია ტრეკინგის" წილად მოდის, ევერესტზე ჩვენი ამგვარი მაჩვენებელი ნეპალიდან 30 პროცენტია. ამას გარდა, ექსპედიციებს ვაწყობთ სხვა რვაათასიანებზეც და შვიდიათასიანებზეც. მარტო ერთი წლის განმავლობაში შვიდიათასიანებზე 17 ექსპედიციას გზა დავულოცეთ.

ანგ ჩერინგმა აპა შერპასვით მოკრძალებულად წარმოგვიდგინა თავი და არაფერი უთქვამს იმაზე, რომ არის სხვადასხვა კომპანიების მფლობელ-მეთაური. მათ შორის: „აზიის შვეულმფრენთა ხაზების", „საფრენოსნო ავიახაზების" „ალპური ავიახაზების", „აზიის სათავგადასავლო მოგზაურობისა და ტურიზმის", „ჰიმალაის კურორტების" და სხვა კომპანიებისა, არის თვითმფრინავების, შვეულმფრენებისა და სასტუმროების მეპატრონე და ნეპალის სამეფოს მთამსვლელთა ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტი.

თავისი საქმის ვეფხვმა ანგ ჩერინგმა და აპა შერპამ ნეპალის მთამსვლელთა ასოციაციის ჟურნალიც გვაჩუქეს. მის გარეკანზე ამ ზაფხულს ნეპალის მთელი სამეფო ოჯახის ამოხოცვის შემდეგ ტახტზე აღზევებული განენდრა ბირ ბიკრამ შაჰ დევია აღბეჭდილი. იქვე დაუსტამბავთ ნეპალელ მთამსვლელთა სამი პორტრეტი. ასეთი თანამეზობლობა სულაც არ არის გასაკვირი — ნეპალში ძლიერი მთამსვლელები მეფისტოლა კაცებად არიან შერაცხულნი.

ჟურნალში ნეპალის ძველ-ახალი სამეფო ოჯახების ფოტოების თვალიერებისას ისიც გავიხსენეთ, რომ 1957 წელს საბჭოთა კავშირში ოფიციალური ვიზიტით ჩამოსული ნეპალის მეფე რაჰენდრა თბილისსაც ეწვია. მან საქართველოს ალპური კლუბიც მოინახულა და ჩვენი მთამსვლელები ევერესტის დასალაშქრად მიიწვია, მაგრამ მაშინ მათ იქით ვინ გაახედებდა?

ამგვარი ისტორიის გახსენებისას ვიკითხეთ, სამეფო ოჯახის ტრაგედიის მერე ნეპალში ცხოვრება როგორ მიდისო და ვინანეთ, რომ ამითაც დავინტერესდით. ჩვენს კითხვისთანავე ორივე უმალ სევდამ შეიპყრო და თვალთ ცრემლი მოადგათ. ანგ შერინგს სულაც ყელში ბურთი გაეჩხირა და კარგა ხანს აცრემლებულმა ხმა ველარ ამოიღო.

— ის საშინელება, რომელიც ჩვენს სამეფო ოჯახს თავს დაატყდა, ნეპალელთათვის ძალზე ძნელად გასაგებია, — გვეუბნება ანგ ჩერინგი — ბირენდრა ბირ ბიკრამ შაჰ დევი ნეპალის მეფეთა ისტორიაში ყველაზე პოპულარული იყო. ასეთ ტრაგედიას ვერავინ იფიქრებდა. ამიტომ ხალხს მასთან შეგუება მეტად გაუჭირდა. იგი ძალზე უყვარდათ მთამსვლელებს და თავადაც დიდად აფასებდა ალპინისტებს, რომლებსაც ხშირად თავისთან იწვევდა. მე მას არაერთხელ შევხვედრივარ და საათობითაც გვისაუბრია მთამსვლელობაზე. ხშირად მეკითხებოდა, შენი აზრით კიდევ რა უნდა გავაკეთოთ ნეპალში მთამსვლელობისა და ტურიზმის განვითარებისთვისო. იმასაც მეკითხებოდა, რითი შეგვიძლია დავეხმაროთ ისეთ ძლიერ მთამსვლელებს, როგორებიც არიან აპა შერპა, ანგ რიტა, ბაბუ ჩირი შერპა, რომელიც წლეულს დაიღუპა. ერთხელ ანგ რიტა ავად გაგვიხდა და მეფე ამაზე მთელი საათნახევარი მელაპარაკა. ჩვენი მეფე დიდ ყურადღებას იჩენდა არა მხოლოდ ჩვენივე მთამსვლელების, არამედ უცხოელი ალპინისტების მიმართაც. იგი მშვენივრად ერკვეოდა მთამსვლელობაში და შეეძლო მათთვის მიეცა ისეთი რჩევებიც კი, თუ სად, როდის, რომელ მარშრუტზე რომელი საჭურველი უნდა გამოეყენებინათ. ამ გაზაფხულის ბოლოს როცა რუსებმა მანამდე დაულაშქრავი ბოლო რვაათასიანი პიკი, ლჰოცზეს შუათანა მწვერვალი დალაშქრეს, გახარებულებმა მეფესთან შეხვედრა ითხოვეს. ეს ამბავი მეფეს 4 ივნისს წერილობით ვაცნობე. იმავე საღამოს მეფის მდივანმა დამირეკა და მაცნობა, რუსებს ზეგ ვეღიო. საუბედუროდ, სამეფო ოჯახის სისხლიანი ტრაგედია იმ საღამოს დატრიალდა.

აქ ანგ ჩერინგს ყელში ისევ ბურთი გაეჩხირა. მისი ცრემლით სავსე თვალების შემხედვარემ ვიფიქრეთ, ნეტა ჩვენც გვყავდეს მთამსვლელთა ასეთი ქომაგი და ხალხის საყვარელი მეფე, რომლის სიკვდილიც ქვეყანას ეგზომ დაამწუხრებსო.

მაგრამ მანამ კალამი გაგვქცევია, სჯობს თემას დავუბრუნდეთ.

მთამსვლელები მეფისტოლა ხალხად არიან შერაცხულნიო, ვთქვით და ისიც უნდა გავიხსენოთ, რომ ასეთი მეფისტოლა კაცი, ევერესტის რეკორდსმენი ბაბუ ჩირი შერპა ნამდვილი მეფის ტრაგედიამდე ერთი თვით ადრე თავისი საყვარელი ევერესტის ფერდობზე დაიღუპა.

ბაბუ ჩირი აპა შერპას ევერესტის დალაშქვრათა რაოდენობაში ერთი ასვლით ჩამორჩა. აპა შერპას ასევე ერთი ასვლით ჩამორჩება ანგ რიტა. ის ცოცხალი და საღ-სალამათი კია, მაგრამ აპა შერპა უკონკურენციოდ დარჩა.

— ანგ რიტა და ბაბუ ჩირიც დიდი მთამსვლელები იყვნენ, მაგრამ არც ერთს ვეჯიბრებოდი და არც მეორეს, — გვეუბნება აპა შერპა — ჩვენს შორის საერთოდ არანაირი პაექრობა არ ყოფილა.

— ბაბუს, ანგს და აპას ერთმანეთთან მუდამ დიდი მეგობრობა აკავშირებდათ. ისინი თავიანთ საქმეს აკეთებდნენ და რეკორდებიც თავისთავად მოდიოდა. ბაბუ ევერესტის რეკორდსმენი იყო სამხრეთიდან, საიდანაც დედამიწის სახურავზე 15 საათსა და 56 წუთში ავიდ-ჩამოვიდა. ბაბუს ეკუთვნის კიდევ ერთი რეკორდი — ევერესტის კენწეროზე ხანგრძლივად ყოფნის რეკორდი (20 საათი — უჟანგბადოდ). ანგი იყო პირველი, ვინც ევერესტი ათჯერ დალაშქრა.

ანგ რიტა ბოლოს დედამიწის სახურავზე 1996 წელს ავიდა, მერე კი დამსახურებულ პენსიაზე გავიდა. ამიტომ ახლა აპა შერპას რეკორდის გაუმჯობესება ისევ თავად აპა შერპას შეუძლია — ყოველივე ამას გვახსენებს ანგ ჩერინგი და...

— კიდევ რამდენჯერ აპირებთ ევერესტზე ასვლას?

— ჩვენი არ იყოს, ალბათ მკითხველსაც ბუნებრივად ებადება ეს კითხვა, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ეს თავად აპა შერპამაც არ იცის. ამბობს, გაჩერებას არ ვაპირებო, ევერესტის ამოჩემებას კი იმით ხსნის, რომ ეს მწვერვალი ძალიან მიყვარს, რადგან ყველაზე მაღალიაო. თუმცა, იგი ასულა სხვა რვაათასიანებზეც — ჩო ოიუზე და დჰაულაგირზეც, თავის მიერ გავლილ მარშრუტთაგან კი ყველაზე რთულად მიიჩნევს ასევე რვაათასიან ანაპურნაზე სამხრეთიდან გაკვალულ გზას, რომელიც ვერ გაასრულა, უფრო სწორედ, ამის შესაძლებლობა არ მისცეს.

— მაშინ იაპონელთა ექსპედიციაში ვიყავი. მათთან ერთად ბოლო ბანაკამდე ავედი. მათ იქამდე დავეხმარე მარშრუტის გაკვალვაში, ბარგის აზიდვაში, ბანაკების მოწყობაში, გადამწყვეტ იერიშზე წასვლა კი მარტო ისურვეს და ავიდნენ კიდეც — ანაპურნაზე ამ ლაშქრობას ისე სევდიანად იხსენებს, რომ ეტყობა, ძალიან გულმოკლულია. არადა, წესითა და რიგით, თუ შერპი ბოლო ბანაკამდე ადის და მწვერვალზე ასვლის სურვილსაც გამოთქვამს, მთამსვლელებს უარის თქმის უფლება არ აქვთ. 8000 მეტრის ზემოთ შერპები მოიერიშე ჯგუფის სრულუფლებიანი წევრები ხდებიან, ალპინისტებთან ერთ თოკში ებმებიან და მიდიან. შერპს, რომელიც 8000 მეტრს გადალახავს, ოფიციალურად ანიჭებენ „ყინვართა ვეფხვის" ტიტულს, „ვეფხვთა" შორის გამორჩეულნი კი სირდარები არიან.

სირდარი შერპებისა და მზიდავების ხელმძღვანელი გახლავთ. იგი ამავე დროს ექსპედიციის უფროსის მოვალეობასაც ასრულებს.

ასე რომ, აპა შერპა, სულ ცოტა, თოთხმეტგზის სირდარია.


ვერაგულად მოკლული ნეპალელთა საყვარელი მეფე-დედოფალი

**ავთანდილ გურასპიშვილი**
**გიგა გურასპიშვილი**

*დასასრული იქნება*

NBA. რეგულარული ჩემპიონატი

# ტორონტომ ჰიუსტონს სარეკორდოდ დააფარა

7 ნოემბერი

**ბოსტონი 104:95 ვაშინგტონი**

ბოსტონი: უოლკერი (31 ქულა, 10 მოხსნა, 9 პასი), ანდერსონი (17), ჯონსონი (16 ქულა, 10 მოხსნა)
ვაშინგტონი: ჯორდანი (32), ლეიტნერი (29), ჰამილტონი (19)

**ინდიანა 116:104 საკრამენტო**

ინდიანა: ჰარინგტონი (22), მილერი (20), როუზი (18), ონილი (16 ქულა, 9 მოხსნა, 6 დაფარება)
საკრამენტო: სტოიაკოვიჩი (36), ბიბი (19), დივაცი (12 ქულა, 10 მოხსნა)

**კლიპერსი 108:92 მემფისი**

კლიპერსი: რიჩარდსონი (21 ქულა, 12 მოხსნა), მაკინისი (21 ქულა, 12 პასი), ბრენდი (21 ქულა, 11 მოხსნა)
მემფისი: გასოლი (24), რაიტი (22 ქულა, 11 მოხსნა), ვილიამსი (17)

**იუტა 96:89 ატლანტა**

იუტა: მელოუნი (27), მარშალი (24)
ატლანტა: აბდურ-რაჰიმი (25), მუჰამედი (20 ქულა, 13 მოხსნა)

**ჩიკაგო 73:97 დეტროიტი**

ჩიკაგო: ჰოიბერგი (11)
დეტროიტი: რობინსონი (23), რებრაჩა (15)

**ნიუ იორკი 82:64 კლივლენდი**

ნიუ იორკი: სპრიუელი (14), ჰიუსტონი (14)
კლივლენდი: მილერი (15), მიური (12 ქულა, 10 მოხსნა)

**ტორონტო 109:92 გოლდენ სტეიტი**

ტორონტო: კარტერი (39 ქულა, 10 მოხსნა, 6 პასი), პეტერსონი (21), დევისი (14 ქულა, 16 მოხსნა)
გოლდენ სტეიტი: რიჩარდსონი (16), მერფი (14 ქულა, 10 მოხსნა)

„შეგიძლიათ თქვათ, რომ ჯორდანი დიადი მოთამაშეა, მაგრამ ნუ დაივიწყებთ ჩვენს ბიჭს. ნურც მთხოვთ, ჯორდანზე რამე ვთქვა, რადგან დღეს მოედანზე საუკეთესო ანტუან უოლკერი იყო" — თქვა ნამატჩევს „ბოსტონ სელტიქსის" მწვრთნელმა ჯიმ ობრაინმა.

ამ ზაფხულს, სანამ კალათბურთში დაბრუნებაზე სიტყვას ჩამოაგდებდა, სადღაც მივარდნილ დარბაზში ჯორდანი ნბა-ს ვარსკვლავებს წაეთამაშა. დაბრუნების წინ თავს ამოწმებდა. მის მეტოქეთა შორის გახლდათ „ბოსტონის" 206-სანტიმეტრიანი თავდამსხმელი ანტუან უოლკერი და მაიკლი ხშირად აბითურებდა მას. „ის ჩემი დიდი მეგობარია. მაიკლი მასწავლიდა თამაშის და საერთოდ ცხოვრების საიდუმლოებებს. მასთან შეხვედრის შემდეგ ბევრად გავიზარდე" — როგორც ჩანს, უოლკერი ამაყობს ჯორდანის მეგობრობით, 7 ნოემბრის შემდეგ კი იგი იმითაც იამაყებს, რომ კალათბურთელ მაიკლ ჯორდანს აჯობა.

არადა, მაიკლს „ბოსტონთან" ურიგოდ არ უთამაშია. რაც დაბრუნდა, ამდენი ქულა არ მოუხვეჭია და ოპონენტი პოლ პირსიც თითქმის მთლიანად გამოთიშა თამაშიდან. პირსი მატჩში საშუალოდ 28 ქულას იხვეჭს, ჯორდანის კლანჭებში მოქცეულს კი ამის ნახევარიღა მოუგროვდა, მაგრამ „ბოსტონს" ამით ბევრი არაფერი მოჰკლებია. პირსმა ლიდერობა უოლკერს გადააბარა და ამანაც თავი არ შეირცხვინა. ბევრი ჩააგდო, ბევრი მოხსნა-პასიც მიითვალა და ლამის სამმაგი დუბლი შეასრულა.

„ბოსტონმა" დასაწყისშივე მოიპოვა მცირე უპირატესობა და ბოლომდე მდევრად ამყოფა „ვაშინგტონი", თუმც შორსაც ვერ გაიჭრა, რადგან ჯორდანი და 1992 წელს ბარსელონას ოლიმპიადაზე მის მხარდამხარ გაჩემპიონებული კრისტიან ლეიტნერი იმ დღეს კარგად ისროდნენ.

ბოლო მეოთხედის დასაწყისში „სელტიქსი" 80:70 დაწინაურდა. რამდენიმე წუთის შემდეგ ანგარიში უკვე 81:80 იყო „ვაშინგტონის" სასარგებლოდ. თავისიანთა 11:0 გაქცევა ჯორდანმა ლეიტნერის აცილებულის დამატებით და ერთი საჯარიმოთი დაასრულა და „ჯადოქრები" საბოლოოდ გაიყვანა წინ. მასწავლებელს არც უოლკერი ჩამორჩა და ერთ შეტევაში სამი ქულა მიითვალა.

მატჩის ბოლოს აშკარად დაიღალა ჯორდანი. 38 წლის ასაკში მისთვის ძველებურად იოლი არ არის კვირაში სამჯერ 40-40 წუთით მოედანზე ყოფნა და სასწაულების ჩადენა. მისი ბოლო გაბრძოლება იყო დამთავრებამდე პირსის ხელებს ზემოდან ჩაგდებული, რითაც ანგარიში ბოლოჯერ გათანაბრდა — 89:89. დარჩენილი დრო მასპინძლებისა იყო. მანამდე ვერაფრის გამკეთებელმა პირსმა საფინალო სირენამდე თითქმის სამი წუთით ადრე ჯორდანს დაუფარა, შემდეგ კი ჯო ჯონსონს ჩაატენინა და „სელტიქსი" 96:89 დაწინაურდა. „ვაშინგტონი" ოთხ ქულაზე ახლოს ველარ გაეკარა მეტოქეს, ხოლო როდესაც სტუმარმა კრის ვიტნიმ სამიანით 96:98 გახადა და თავისიანებს მატჩის ხსნის იმედი შეუნარჩუნა, უოლკერმა ზედიზედ ექვსი ქულით ჯორდანსა და მის თანამეინახეებს ყველაფერი წყალში ჩაუყარა.

ხუთ თამაშში „ვაშინგტონმა" მესამედ წააგო, „ბოსტონმა" კი პირიქით, მესამედ მოიგო.

კრის ვებერი რომ ჰყოლოდათ, საკრამენტოელები ამაზე უკეთ მაშინაც ვერ დაიწყებდნენ სეზონს. კალიფორნიელებმა დროებით დაივიწყეს ლიდერის მუხლის ტკივილი და მეტოქე მეტოქეზე წამოაქციეს, მაგრამ დასასრული ყველაფერს აქვს. პირველი ოთხი გამარჯვების შემდეგ სტოიაკოვიჩმა, თურქოღლუმ, დივაცმა და მათმა ამერიკელმა დამხმარეებმა პირველი მარცხი იგემეს. „მეფეთა" ტრიუმფალურ სვლას „ინდიანა პეისერზი" გადაეღობა.

„კინგზის" იუგოსლაველმა ფრთამ, პრედრაგ სტოიაკოვიჩმა როგორც არასდროს, ისე კარგად ითამაშა ექვსი ცდიდან ხუთი სამქულიანი და ბევრიც ორქულიანი ჩაუგდო სტუმრად „ინდიანას". სხვებსაც არა უშავდათ და „საკრამენტოს" იქნებ ზედიზედ მეხუთედ მოეგო, საიდანღაც პატარა ბიჭუნა ალ ჰარინგტონი რომ არ გამომტყვრალიყო. „ინდიანას" ყმაწვილმა თავდამსხმელმა დროულად „გამოართვა" ინიციატივა დაღლილ თანაგუნდელებს — რეჯი მილერს და ჯალენ როუზს. ბოლო მეოთხედის შუაწელში მან „ინდიანა" 98:97 დააწინაურა და შემდეგ უპირატესობის გაზრდაში დაეხმარა. „პეისერზმა" სეზონში მეოთხე თამაში მოიგო, ჰარინგტონმა კი კარიერაში უმეტესი, 22 ქულა მოიხვეჭა.

მემფისელ „დათვებს" სწამთ, რომ მათი ესპანელი ახალბედა პაუ გასოლი, ნიჭით დირკ ნოვიცკის არ ჩამოუვარდება და მისი დიდი იმედიც აქვთ. გასოლი ურიგო ყმაწვილი არ ჩანს. აგერ, „კლიპერსს" 24 ქულა ჩაუგდო. „მემფისის" ცენტრმა ლორენცენ რაიტმა, ამ თამაშშიც შეასრულა ორმაგი დუბლი, თავისიანებს 22 ქულა და 11 მოხსნა მოუტანა, მაგრამ არც მისი და არც გასოლის მონაგარი არ ეყო, „მემფისის" პირველ გამარჯვებას — „გრიზლიზმა" ზედიზედ მეხუთედ წააგო და, ისე როგორც ვიცე-ჩემპიონ „ფილადელფიას", დღემდე არ უზეიმია გამარჯვება.

ცოტა ძლიერ მეტოქეთაგან დაბეჩავებულმა „იუტა ჯაზმა" შინ უხეირო „ატლანტა" გამოიჭირა და გაჭირვებით, მაგრამ მაინც მოუგო. „ატლანტა" დღემდე ვერ ჩადგა მწყობრში, რადგან ხან ვინ აკლია და ხან ვინ. „იუტასთან" ჯორჯიელებმა ერთბაშად სამი ლიდერი — ტონი კუკოჩი, თეო რეთლიფი და ჯეისონ ტერი მოისაკლისეს, თუმც მაინც თავგამოდებით იბრძოლეს და მასპინძლებმა ბოლოსღა გატეხეს მეტოქე.

საშუალოზე საშუალო გუნდად ქცეული „ნიუ იორკი" შინ შეხვდა „კლივლენდს" და დაჩაგრა. „კლივლენდი" საზიზღრად თამაშობდა, სროლების მხოლოდ 31 პროცენტი ჩააგდო და 48 წუთში სამარცხვინოდ ცოტა, 64 ქულა მოაგროვა. მატჩს ესწრებოდა ლეგენდარული მეჯიქ ჯონსონი, რომელიც ზუსტად ათი წელია, წავიდა ნბა-ს მოედნებიდან (თუ არ ჩავთვლით 1996 წელს ცოტა ხნით მობრუნებას).

ტორონტოში იქაურმა „დინოზავრებმა" სანფრანცისკოელ „მეომართა" 24 სროლას დააფარეს და ნბა-ს ყველა დროის ახალი რეკორდი დაამყარეს. სხვათა შორის, ძველი რეკორდიც, 23 დაფარება, „ტორონტოსია", რომელიც წლეულს, მარტში, „ატლანტასთან" დაუმყარებია.

„რაღაც გიჟური დღე იყო, ეგ საცოდავები სროლასაც ველარ ბედავდნენ და, მგონი, მწარედ ნანობდნენ ამ ლიგაში რომ თამაშობენ" — დასცინა მეტოქეებს ერთ-ერთმა ტორონტოელმა. დაფარებებში თავი განსაკუთრებით „რეპტორზის" 38 წლის ახალწვეულმა ჰაკიმ ოლაჯუონმა გამოიჩინა. ჰაკიმს იმ დღეს ძალიანაც არ გამოუდვია თავი, სულ ოთხი ქულა ჩააგდო, მაგრამ ფარქვეშ ლამის უქმად მდგარმა უჩვენა „ლაწირაკ" მეტოქეებს, როგორ უნდა ითამაშო. მან ცხრაჯერ დაუფარა სტუმრებს, მათგან ექვსჯერ თუ შვიდჯერ მათ ლიდერ ანთაუნ ჯემისონს, რომელიც ნბა-ში ერთ-ერთ ყველაზე მოუხელთებელ დრიბლიორად ითვლება.

**ირაკლი ფირცხვილი**



ბოსტონი — ვაშინგტონი. მაიკლ ჯორდანმა „ბოსტონს" 32 ქულა ჩაუგდო, მაგრამ მარკ ბლაუნტმა და ჯო ჯონსონმა (მარჯვნივ) ბევრი აწვალეს

REUTERS ფოტოქრონიკიდან

## საპორტას თასი

**ჯგუფური ეტაპი. II ტური. 6-7 ნოემბერი**

**A ჯგუფი**

ტელეკომი (პორტუგალია) — სტრასბური (საფრანგეთი) 91:98, სნაიდერო (იტალია) — ტელეკომი (თურქეთი) 84:89, პამესა (ესპანეთი) — ლუგანო (შვეიცარია) 83:64

პამესა 4 ქულა, სტრასბური 4, ტელეკომი (პორტუგალია) 3, ტელეკომი (თურქეთი) 3, სნაიდერო 2, ლუგანო 2

**B ჯგუფი**

ჰაპოელი (ისრაელი) — პანიონიოსი (საბერძნეთი) 85:80, ესტუდიანტესი (ესპანეთი) — ლე მანი (საფრანგეთი) 108:81, დარუშაფაკა (თურქეთი) — სიენა (იტალია) 58:60

სიენა 4 ქულა, ესტუდიანტესი 3, პანიონიოსი 3, ჰაპოელი 3, ლე მანი 3, დარუშაფაკა 2

**C ჯგუფი**

არკადია (ავსტრია) — უნიქსი (რუსეთი) 66:93, ლიეტუვოს რიტასი (ლიტვა) — ტელეკომი (გერმანია) 95:82, რიკო (ჰოლანდია) — ანვილი (პოლონეთი) 59:61

ლიეტუვოს რიტასი 4 ქულა, რიკო 3, უნიქსი 3, ტელეკომი 3, ანვილი 3, არკადია 2

**D ჯგუფი**

იგოკეა (ბოსნია) — ცელეზნიკი (იუგოსლავია) 77:78, ირაკლისი (საბერძნეთი) — სპლიტი (ხორვატია) 88:78, კერავნოსი (კვიპროსი) — სლოვაკოფარმა (სლოვაკეთი) 54:87

სლოვაკოფარმა 4 ქულა, ირაკლისი 4, იგოკეა 3, ცელეზნიკი 3, სპლიტი 2, კერავნოსი 2

გეპატიჟებით საბილიარდოში!



უმაღლესი ხარისხის მაგიდები და მომსახურეობა

მუხიანის I მიკრორაიონი. კორპუსი 3ª ტელ.: 630660

ჭადრაკი

ევროპის გუნდური ჩემპიონატი. ლეონი (ესპანეთი)

# ქართველები მინიმალისტები გახდნენ

**ესპანურ** ლეონში, რომელიც გალისიასა და ბასკეთს შუა მდებარე ქალაქი გახლავთ, ევროპის გუნდური ჩემპიონატის მეორე ტური გაიმართა. მისი მთავარი და ჩვენთვის უსიამოვნო სენსაცია ქართველ ქალთა 0:2 გახლდათ. პოლონეთმა პირველი ტურის მატჩიც მშრალად მოიგო, ხოლო მეორეში იოანა დვორაკოვსკა ქეთევან არახამია-გრანტს მოერია, ივეტა რაძიევიჩმა მაია ლომინეიშვილს მოუგო.

სხვაგვარი მდგომარეობაა ვაჟებში, სადაც მატჩები 4 დაფაზე იმართება და მეორე ტურის შემდეგ აბსოლუტურ შედეგზე აღარავინ საუბრობს. ისრაელმა გაცემული ავანსები კიდევ ვერ გაამართლა, რადგან ჩეხებთან მინიმალურ წაგებას სლოვაკებთან ფრე მიაყოლა. გერმანიამ შვეიცარიას ვერ სძლია და ეს ბუნებრივია — ნეიტრალური ქვეყნის პირველი დაფა ვადიმ მილოვს აბარია, მის უკან კი ორ რიგიან მოჭადრაკეს ვხედავთ, რომელთაც სატურნირო პრაქტიკა არ აკლიათ: იანიკ პელეტიესა და იოზეფ გალაჰერს. მძლავრად გაისარჯა მეორე ტურში ესპანეთის A ნაკრები, რომელსაც ჩემპიონატის ყველაზე საჩინო ფიგურა, ალექსეი შიროვი მიუძღვის (პირინეელები 2 გუნდით თამაშობენ). ესპანელებმა 4:0 მოუგეს ირლანდიას და ეს იყო ერთადერთი მშრალი ანგარიში იმ დღეს. საერთოდ, ბრიტანელები და ირლანდიელები ფეხბურთში და რაგბიში უქნია ღმერთს და არა ჭადრაკში — მწვანეკუნძულელთა გარდა შოტლანდიამ ისლანდიასთან 1:3 წააგო, უელსმა კი ჰოლანდიას ნახევარი ქულა ძლივს წაართვა. ზემორე კრიტიკა ნაწილობრივ არ ითქმის მხოლოდ ინგლისელებზე, რომლებმაც ნაიჯელ შორტის და ჯონათან სპილმენის ქულებით ძლიერი ხორვატია დაამარცხეს. „კაცი-ობობა" მაიკლ ადამსი პირველ დაფაზე საყაიმოდ გაისარჯა.

და ქართველები... ჩვენს ვაჟებს პირველ ტურებში მინიმალურად გამარჯვება დასჩემდათ. მეორე 2,5:1,5 — ეს უკვე ბერძნებთან. მეტოქეებს ქულა გაუყვეს ზურაბ სტურუამ, ბადურ ჯობავამ და მიხეილ მჭედლიშვილმა, ჩვენებურთა გამარჯვება კი გააფორმა გიორგი ყაჭეიშვილმა, რომელიც შავებით მასზე 88 რეიტინგული ქულით უმცროს იგორ მილადინოვიჩს ხვდებოდა. პარტია პოზიციურ ბრძოლაში დაიწყო, გაგრძელდა და დასრულდა. სიტუაცია ძირითადად თანაბარი ჩანდა, მხოლოდ ერთ მომენტში ქართველმა ლაზიერის ფრთის ნაპირი გაარღვია და იქაურობას ეტლით დაეპატრონა. მანევრული თამაში გაცვლებში გადაიზარდა, 35-ე სვლაზე თეთრი მეფე ცოტათი გაშიშვლდა და სწორედ ამან გადაწყვიტა პარტიის ბედი. ყაჭეიშვილმა მოკლე კომბინაციით პაიკი მოიგო, მერე კი სამი ფიგურით თეთრი მეფე ალყაში მოაქცია, რასაც უკანასკნელის კაპიტულაცია მოჰყვა (იხილეთ დაფა). სატურნირო ცხრილი ნელ-ნელა დაიწმინდა და ახლა მთავარია, ქართველები ამ პროცესს ალმა აჰყვნენ.

**დავით გულუა**



ეროვნული ბიბლიოთეკა

# კრივალოსანი



ლენოქს ლუისი

**მსოფლიოს** ყოფილი მძიმეწონოსანი ჩემპიონი, ლენოქს ლუისი თავის ინგლისელ მენეჯერს, ფრენკ მელოუნის დაშორდა. მათ ფული ვერ გაიყვეს.

დღეს ლუისი საწვრთნელ ბანაკშია ჩაკეტილი და 17 ნოემბერს ამერიკელ ჰასიმ რაჰმანთან ბრძოლისთვის ემზადება. კომენტარი ყოფილმა ჩემპიონმა სწორედ ბანაკიდან გააკეთა. მისი თქმით ფულთან დაკავშირებული საქმის განხილვა რამდენიმე თვის განმავლობაში გრძელდებოდა და იგი გარდაუვალი, ოღონდ მეგობრული დაცილებით დასრულდა.

„ჩემს ბიზნეს ჯგუფს ვთხოვე ფრენკთან ახალ კონტრაქტზე მაინც ელაპარაკათ, მაგრამ მან ძალიან დიდი გასამრჯელო მოითხოვა, ასეთი თანხის მოთხოვნა კი სხვა სიტყვებით ნიშნავდა, თქვენთან კავშირი აღარ მინდაო. ვგონებ ფრენკის ასეთი ქცევა იმის ბრალია, რომ მისი აზრით მე კარიერას უკვე ვასრულებ, თავად კი საპრომოუტერო საქმიანობას გაგრძელებას აპირებს. შესაბამისად ფრენკს ურჩევნია ისეთ მოკრივეებთან გააბას კავშირები, რომლებსაც რინგზე ყველაფერი წინ აქვთ.

სხვა მხრივ კი მე და ის ყოველთვის მეგობრებად დავრჩებით. ის, რაც ჩვენს შორის მოხდა, მხოლოდ საქმიანი ამბავია და მეტი არაფერი".

ახლა გავიხსენოთ, რომ ლუისი მელოუნის ხელმძღვანელობით ჯერ კიდევ 1988 წლიდან მოდიოდა, როდესაც სეულში ოლიმპიური ოქროს მედალი მოიპოვა. ცხადია მელოუნი გახლდათ მენეჯერი, როდესაც მან 1999 წელს ევანდერ ჰოლიფილდი დაამარცხა და მსოფლიოს უდავო ჩემპიონის ტიტული მოიპოვა. საყოველთაო აზრით ლუისის კარიერის მწვერვალი სწორედ ეს გახლდათ.

წლეულს კი, აპრილში, იოჰანესბურგში, ამერიკელმა ჰასიმ რაჰმანმა ლუისი სრულიად მოულოდნელად დაანოკაუტა და შესაბამისად სამივე ქამარი ჩამოართვა.

და ბოლოს, შეგახსენებთ, რომ წლეულსვე, თებერვალში, ლუისმა გაწყვიტა კავშირი პრომოუტერ პანოს ელიადისთან, რომელთანაც 1992 წლის შემდეგ თანამშრომლობდა.

* * *

**დონ კინგის** პრეს-მდივანმა ალან ჰოპერმა დაადასტურა, რომ WBA-ს მძიმეწონოსანთა ტიტულისთვის ჯერ კიდევ 4 აგვისტოს დანიშნული ბრძოლა ჩემპიონ ჯონ რუისსა და პრეტენდენტ ევანდერ ჰოლიფილდს შორის უთუოდ გაიმართება, ოღონდ არა ჩინეთის დედაქალაქ პეკინში, არამედ ამერიკის შეერთებულ შტატებში. ბრძოლის დამტკიცებული თარიღი 15 დეკემბერი გახლავთ.

შეგახსენებთ, რომ ერთი ხნის წინანდელი ვერსიის თანახმად, ჰოლიფილდი და რუისი ერთმანეთს 24 ნოემბერს უნდა შეხვედროდნენ. გადაწყდა, რომ შოუს კონექტიკუტის შტატის ქალაქი ლედიარდი, უფრო ზუსტად კი მისი სარბიელი „ფოქსვუდს რესორტი" უმასპინძლებს.

მიზეზი იმისა, თუ რატომ გამოცვალეს ბრძოლის ადგილი, ცნობილია: 11 სექტემბერს ნიუ იორკზე განხორციელებული ტერორისტული თავდასხმის შემდეგ ტელეკომპანია HBO-მ, რომელსაც პეკინიდან ტრანსლაცია უნდა მოეწყო, უარი განაცხადა აზიაში თავისი თანამშრომლების გაშვებაზე.

„სრულიად გულნატკენი ვარ, ჩინეთის არაჩვეულებრივმა მოსახლეობამ თავის ქვეყანაში დიდი კრივი რომ ვერ იხილა. არადა, ეს უნდა ყოფილიყო ქვეყნის ისტორიაში მძიმეწონოსან მოკრივეთა პირველი ბრძოლა, რომელსაც ცოცხლად ნახავდნენ და თავადვე უმასპინძლებდნენ. სამწუხაროდ, 11 სექტემბერმა ყველაფერი შეცვალა და ცხადია გამონაკლისი არც საკრივო სამყარო ყოფილა. მე და ჩემმა პარტნიორმა ჩინურმა ფირმა „დიდმა კედელმა" მოვილაპარაკეთ და გადავწყვიტეთ, რომ ჩინეთისთვის უკეთესი დროის შერჩევაა საჭირო" — განაცხადა დონ კინგმა, ზემოხსენებულმა ჰოპერმა კი დასძინა, რომ ცნობილ პრომოუტერს კვლავ ერთი სული აქვს, როდის აზიარებს ჩინეთს დიდ კრივს.

„დონი ვერ იტანს, თავის ნათქვამს რომ ვერ ასრულებს, ასე რომ, ადრე თუ გვიან იგი მძიმეწონოსანთა ბრძოლას ჩინეთში მაინც მოაწყობს" — თქვა ჰოპერმა.

ხოლო „დიდი კედლის" თავმჯდომარემ ნიუ ლიქსინმა დაამატა: „ტერორისტული შეტევების მიუხედავად ჩვენ განვაგრძობთ „დონ კინგ პროდაქშენთან" მუშაობას".

* * *

**IBF-ის** ვერსიით აწ უკვე ყოფილი ჩემპიონი ქვე-ველტერის წონაში, ამერიკელი ზაბ ჯუდა, ნევადის შტატის სპორტული კომისიის წინაშე უნდა წარსდგეს. იქ ჯუდას უახლოესი ერთი კვირის განმავლობაში ელიან, მიზეზს კი რა დიდი მიხვედრა უნდა: შაბათს, ლას ვეგასის „MGM გრანდში" კოსტია ძიუსთან ბრძოლის დროს იგი რეფერის, ჯეი ნედის საცემად მიუხტა.

კომისიის აღმასრულებელი დირექტორი მარკ რატნერი ბრძანებს, რომ ჯუდა ვალდებულია თავისი საქციელი განმარტოს. შეგახსენებთ: ნიუ იორკელმა მოკრივემ რეფერისადმი აგრესია მაშინ გამოავლინა, როდესაც ამ უკანასკნელმა, მეორე რაუნდის მიწურულს, ძიუს ნოკაუტით გამარჯვება მიანიჭა.

რატნერის განცხადებით, თუ ჯუდას გასამართლებელი საბუთი არ აღმოაჩნდა, მას 885 ათასი დოლარით დააჯარიმებენ.

**ტუტა სიხარულიძე**

## NHL. რეგულარული ჩემპიონატი

# ალები გაალმასებულან

7 ნოემბერი

**ფლორიდა 2:0 პიტსბურგი (0:0 1:0 1:0)**
1:0 უორელი 30(2), 2:0 ადამსი 41(1)
**ნიუ ჯერსი 3:2 ატლანტა (1:2 1:0 1:0)**
0:1 კალიო 3(1), 0:2 კალიო 5(2), 1:2 ბრილინი 13(2), 2:2 ჰოლიკი 21(3), 3:2 ჰოლიკი 59(4)
**დალასი 2:2 სან ხოსე (1:0 1:2 0:0 0:0)**
1:0 ლეჰტინენი 6(5), 1:1 ტორნტონი 25(6), 2:1 ზუბოვი 27(4), 2:2 ნოლანი 30(6)
**ანაჰაიმი 3:3 კალგარი (0:0 1:2 2:1 0:0)**
0:1 იგინლა 22(10), 1:1 ჰაველიდი 28(1), 1:2 იგინლა 40(11), 2:2 რუჩინი 46(4), 3:2 კარია 52(6), 3:3 ლოური 56(5)
**ფინიქსი 1:3 დეტროიტი (0:0 0:1 1:2)**
0:1 ოლაუსონი 34(2), 0:2 ფიოდოროვი 41(8), 0:3 მოლტბი 42(1), 1:3 მეი 43(1)

„თავდაჯერება — აი, რა განასხვავებს წლევანდელ კალგარის შარშანდელისგან. შარშან ასეთ სიტუაციაში ხელს ჩავიქნევდით, მაგრამ წლეულს იოლად არავის დავნებდებით".

კალგარის ლიდერის, ჯერომ იგინლას სიტყვები სრული სიმართლეა. ანაჰაიმთან შეხვედრის მესამე პერიოდში „ალებს" ძალიან გაუჭირდათ. მათ არა მარტო ვერ შეინარჩუნეს იგინლას ძალისხმევით მოპოვებული მინიმალური უპირატესობა, არამედ 52-ე წუთის შემდეგ მატჩი გადასარჩენი გაუხდათ. ანაჰაიმელმა პოლ კარიამ ჯერ სტივ რუჩინს შეუქმნა საგოლე მომენტი, სულ რაღაც ექვს წუთში კი იგი თავად აღმოჩნდა ხელსაყრელ პოზიციაზე. ეს მისი მე-5 გოლია ბოლო 5 მატჩში. ასე დაწინაურდნენ მასპინძლები და თითქოს მათ გამარჯვებაში ხელს აღარავინ უშლიდა, მაგრამ სწორედ აქ გამოჩნდა ის, რაც იგინლამ მატჩის შემდეგ ახსენა — კალგარელთა თავდაჯერება. სტუმრებს სულ რამდენიმე წუთი დასჭირდათ ათამაშებული მეტოქის დასაშოშმინებლად, შემდეგ კი პირველივე საგოლე მომენტი გამოიყენეს — კართან გამართულ ორთაბრძოლაში ვეტერანმა დეივ ლოურიმ იმარჯვა. მართალია, კალგარიმ ზედიზედ მეოთხე მოგების შანსი დაკარგა, მაგრამ ეს ქულა ზოგ იოლად მოპოვებულ ორზე ძვირად ფასობს.

მნიშვნელოვანი ქულა მიითვალა სან ხოსემაც. წინადღეს სენტ ლუისთან ნაბრძოლი კალიფორნიელები დალასში გაემგზავრნენ. იქ მათ ცუდი დღე დაადგათ — ტეხასელები, რომლებმაც სტარტზე ბევრი ქულა დაკარგეს, ახლა არაფრის დათმობას არ აპირებდნენ. მასპინძელთა უპირატესობა აშკარა იყო, მაგრამ „ზვიგენთა" დაცვამ და განსაკუთრებით მეკარე ევგენი ნაბოკოვმა (30 მოგერიება) ამოცანას ჩინებულად გაართვეს თავი, ფორვარდებმა კი დალასელთა მცირერიცხოვანი შეცდომები ოსტატურად გამოიყენეს. პირველი გოლი რიხარდ მატვიჩუკის სინდისზეა. მან თავისი ზონის სიახლოვეს შაიბა დაკარგა, რითაც სკოტ ტორნტონმა ისარგებლა. მეორედ კი სან ხოსემ უმცირესობაში გაათანაბრა. დალასელებმა ოუენ ნოლანი უმეთვალყურეოდ დატოვეს და სტუმართა კაპიტანმაც ლამაზად გაუტანა ედ ბელფორს. მეორე პერიოდის მიწურულს დალასს კიდევ ერთი უსიამოვნება შეემთხვა — გუნდის ლიდერმა მაიკ მოდანომ ზურგი იტკინა და ყინულზე ველარ დაბრუნდა.

რაც დეტროიტში გადავიდა, დომინიკ ჰაშეკს ვერა და ვერ გაუხერხებია შათაუტი. თუმცა სახელოვან მეკარეს ეს, ალბათ, სულაც არ ადარდებს, რადგან „წითელფრთიანებს" იმდენი გააქვთ, რომ „დომინატორის" გაშვებული ერთი-ორი გოლი არაფერს წყვეტს. ამჯერადაც ფინიქსთან შეხვედრაში, მესამე პერიოდის საწყის წუთებზე, სერგეი ფიოდოროვმა (1+1) და კირკ მოლტბიმ ორი გოლით უზრუნველყვეს დეტროიტის მე-13 გამარჯვება.

როგორც იქნა, ნიუ ჯერსიმ შინ მოიგო. თანაც ისე, რომ ამაში პატრიკ ელიაშის ხელი არ გარეულა. საკუთარ მოედანზე შეუჩერებელ ელიაშს (7 გოლი და 9 პასი 6 მატჩში) ამჯერად არაფერი გაუკეთებია. სამაგიეროდ, მისმა თანამემამულე ბობი ჰოლიკმა (2+1) ივაჟკაცა. ჰოლიკმა, რომელიც მასპინძელთაგან უდავოდ საუკეთესო იყო, 58-ე წუთზე უძლიერესი დარტყმით ატლანტას კარის შიდა ხარიხა შეაზანზარა. ეს ყველამ შენიშნა, გარდა მსაჯებისა, რომლებიც ისე იყვნენ დარწმუნებული თავიანთ სიმართლეში, რომ ვიდეოფირის ნახვაც არ ისურვეს. მაგრამ სულ რაღაც ერთ წუთში ჰოლიკმა მაინც გაიტანა თავისი — დამიან როუდთან პირისპირ დარჩენილმა მას შაიბა ფეხებშუა გაუძვრინა.

ძალაგამოცლილმა პიტსბურგმა ფლორიდაში ძალიან გამოიდო თავი, მეკარე იოჰან ჰედბერგმაც (30 მოგერიება) საუცხოოდ ითამაშა, მაგრამ ამან ვერ უშველა. თუმცა ისიც სათქმელია, რომ „პინგვინები", რომლებსაც ლემიე, კოვალიოვი და სტრაკა აკლდათ, პირველად დამარცხდნენ ბოლო 4 მატჩში. მალე კი მათი ტანჯვა-წვალება დამთავრდება — ლემიე და კოვალიოვი უკვე იშუშებენ ტრავმას და მომდევნო კვირას, აილენდერსთან საშინაო შეხვედრაზე, ალბათ, ყინულზეც გამოჩნდებიან.

**სამველ ლარიბიანი**

*ბომბარდირები:* იგინლა (კალგარი) 25 (11+14), ონილი (კაროლინა) 19 (11+8), შენაჰანი (დეტროიტი) 19 (10+9), პერიში (აილენდერსი) 18 (12+6), ფიოდოროვი (დეტროიტი) 18 (8+10), კონროი (კალგარი) 18 (7+11), დაზე (ჩიკაგო) და ელიაში (ნიუ ჯერსი) 17 (8+9), ტკაჩუკი (სენტ ლუისი) 17 (7+10), მორისონი (ვანკუვერი) 17 (6+11), რ. სმიტი (ედმონტონი) 17 (5+12), ფრენსისი (კაროლინა) 17 (3+14), დემიტრა (სენტ ლუისი) 16 (9+7), კაპანენი (კაროლინა) 16 (8+8)




REUTERS

ანაჰაიმი — კალგარი. კრეიგ კონროი ანაჰაიმელი ჟან-სებასტიან ჟიგერის კარს უტევს

მოსწავლეთა საყურადღებოდ!
განათლების სამინისტროს
კომპიუტერული ცენტრი „მზიური"
აცხადებს მოსწავლეთა მიღებას
პერსონალური კომპიუტერის
შემსწავლელ ჯგუფებში
მიიღებიან IV-XI კლასების მოსწავლეები
მისამართი: ზ. ფალიაშვილის №42 (57-ე საშუალო სკოლა) ☎ 29-11-78, 23-53-17

**მსოფლიოს ჩემპიონატი. ანთალია (თურქეთი)**

# ძალოსნები წონას უჩივიან

**ძალოსანთა** მსოფლიოს ჩემპიონატი წინა დღის მსგავსად ჩვეული რიტმით კი წარიმართა, მაგრამ „დილეკ საბანჯის“ სპორტულ ცენტრში ამჯერად უფრო მეტი ინტრიგა იგრძნობოდა. ეს, რა თქმა უნდა, ასპარეზობებიდან გამომდინარეობდა. ქალთა 63 და ვაჟთა 77 კილოგრამამდე წონით კატეგორიებში სპორტსმენებმა ერთმანეთში ისეთი სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა გამართეს, რომ საბოლოო შედეგების ხილვისას ბევრი მათგანი თავებს იწყევლიდა. ჩემპიონისა თუ პრიზიორთა ბედი პირადი წონის სულ რალაც რამდენიმე გრამმა გადაწყვიტა. ამ მხრივ ყველაზე მეტად ვაჟებს მოუწიათ ნერვიულობა.

ანდრეი ივანოვს, რომელიც ადრე ბულგარეთისთვის იდგამდა წელებზე ფეხს და ამჟამად ყატარის დროშის ქვეშ აბას ნადერის სახელით ასპარეზობს, სომეხ არსენ მელიქიანთან პირველობისთვის ბრძოლაში იმით გაუმართლა, რომ ჩვენს მეზობელზე 340 გრამით ნაკლებს იწონიდა. ისე, საერთო შედეგით გაყატარებულმა ბულგარელმა ორივე დისციპლინაში 365 კილოგრამი მოაგროვა. ამათ კიდევ არა უჭირთ. მესამეობისთვის ბრძოლაში რუსმა ოლეგ პერეპეჩენოვმა, ირანელმა მოჰამად ბარხანმა, ბულგარელმა პლამენ ჟელიაზკოვმა და უნგრელმა ატილა ფერიმ შეთქმულებივით 360-360 კილოგრამი დაძლიეს. ბრინჯაოს კი პირად წონაში 140 გრამით ნაკლები ძალოსანი დაეუფლა. ასეთი პერეპეჩენოვი აღმოჩნდა.

არც ქალთა ასპარეზობებს ჩაუვლია დაძაბულობის გარეშე. ამ შემთხვევაში გულის ხეთქვა მეორე-მესამე ადგილოსნებს მოუწიათ. გარდა იმისა, რომ ბერძენმა ანასტასია ცაკირიმ და ტაივანელმა კუო პინგ-ჩუნმა საერთოდ 227,5-227,5 კილოგრამი დაძლიეს, მათი შედეგები ატაცსა და აკვრაშიც ტყუპისცალივით ჰგავდა ერთმანეთს (102,5 +125). ვიცე-ჩემპიონობისკენ მიმავალი გზა კი ტაივანელ ძალოსანს ბერძენზე ნახევარი კილოგრამით მეტმა წონამ გადაუღობა. პირველობა ნერვიულობის გარეშე მოიპოვა ჩინეთის ყოფილმა ჩემპიონმა სიაო ინგმა. ჩინელმა სპორტსმენმა მისთვის პირველ მსოფლიოს ჩემპიონატზე მთლიანობაში 230 კილოგრამს მოუყარა თავი.

ასპარეზობის მეოთხე დღეს წარმატებისთვის მასპინძლებიც იბრძოდნენ. თუმცა ალაჰს იმასაც უნდა უმადლოდნენ, რომ მათთვის ყველაფერმა ასე თუ ისე მშვიდობიანად ჩაიარა.

საქმე ისაა, ქალთა ტურნირში თურქმა დონდუ აიმ, როდესაც შტანგით ხელში წონასწორობის შენარჩუნებას ცდილობდა, ეს უკანასკნელი კინაღამ მსაჯს მოსცხო. ეს კიდევ არაფერი. მოგვიანებით ფიცარნაგზე გასულს გული შეუწუხდა და საკაცით გაიყვანეს. მსოფლიოს ჩემპიონატის ორგანიზატორები იტყობინებიან, რომ ამჟამად იგი თავს უკეთ გრძნობს. ისე კი დონდუ აიმ მეექვსე ადგილი მაინც დაიკავა.

**გიგა გურასაშვილი**

| ვაჟები. 77 კგ |
|---|
| 1. აბას ნადერი (ყატარი) 365 |
| 2. არსენ მელიქიანი (სომხეთი) 365 |
| 3. ოლეგ პერეპეჩენოვი (რუსეთი) 360 |
| **ქალები. 63 კგ** |
| 1. სიაო ინგი (ჩინეთი) 230 |
| 2. ანასტასია ცაკირი (საბერძნეთი) 227,5 |
| 3. კუო პინგ-ჩუნი (ტაივანი) 227,5 |



REUTERS

უწინ ბულგარელი ანდრეი ივანოვი, ამჟამად ყატარელი აბას ნადერი მსოფლიოს ჩემპიონია


## სპორტულ ჟურნალისტთა საყურადღებოდ!

საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტისა და სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციის ერთობლივი პრემიების მიმნიჭებელი კომისია შეგახსენებთ, რომ დაწესებულია ოთხი პრემია, თითოეული 250 ლარის ოდენობით:

1. წლის საუკეთესო პუბლიკაციისთვის
2. წლის საუკეთესო სატელევიზიო გადაცემისთვის
3. წლის საუკეთესო რადიოგადაცემისთვის
4. წლის საუკეთესო ფოტოსათვის

საკონკურსო მასალები უნდა წარმოადგინოთ მიმდინარე წლის

15 ნოემბრიდან 15 დეკემბრამდე

სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციის ოფისში (რუსთაველის 42)

ასევე გთხოვთ, ამავე ვადაში წარმოადგინოთ მასალები ნოდარ გუგუშვილის სახელობის ყოველწლიური პრემიის მოსაპოვებლად.

დამატებითი ინფორმაციისათვის დაგვიკავშირდით:

99-08-22, 99-94-09, 8 99 90-26-32

*საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაცია*




**10 ნოემბერი. 15 საათი**

## საქართველო - საფრანგეთი „ა“

**თბილისი. «ლოკომოტივის» სტადიონი**



გუშინ ვარკეთილში: საქართველოს ნაკრებმა ორმხრივად წაითამაშა

# მშვიდი მზადება ერთი შეძახილით

**ხვალ** საქართველოს მორაგბეთა ნაკრები საფრანგეთის „ა“ ნაკრებს დაუპირისპირდება. მატჩი „ლოკომოტივის“ სტადიონზე გაიმართება და სამ საათზე დაიწყება. სწორედ „ლოკომოტივის“ განახლებული სტადიონი შეირჩა ფრანგთა სამასპინძლოდ. რეკონსტრუქციის შემდეგ ბორჯღალოსნები აქ პირველად ითამაშებენ.

გუშინ საქართველოს ნაკრები მატჩისთვის მზადებას შეუდგა. სავარჯიშოდ კი ვარკეთილში მდებარე სარაგბო სკოლა „ორბელი-ლელოს“ კეთილმოწყობილი ბაზა შეარჩია.

საღამოს ხუთი საათისთვის ნაკრების წევრები ადგილზე იყვნენ. იქ მათ „ორბელი-ლელოს“ ხელმძღვანელობა, აღსაზრდელები და გულშემატკივართა მცირე არმია დახვდა. ბორჯღალოსანთა მთავარი მწვრთნელი კლოდ სორელი დიდხანს არ შეყოვნებულა, შეგირდები მოედანზე გაიხმო და მათ წვრთნას შეუდგა. მხოლოდ სამი მორაგბე გამოეყო ძირითად ბირთვს: მევლუდ მთიულიშვილს, ილია ზედგინიძეს და ირაკლი აბუსერიძეს არც გამოუცვლიათ. ისინი ტრავმირებულები არიან და ვარჯიშს მოედნის კიდიდან უცქერდნენ. აბუსერიძე კიდევ თვენახევარი ვერაფრით შეეშველება თავისიანებს. აი, მთიულიშვილის და ზედგინიძის გამოჩენას 18 ნოემბერს, სამხრეთ აფრიკის წინააღმდეგ უნდა ველოდოთ.

ეს რაც შეეხებათ ტრავმირებულებს, ხოლო ვინც ჯანზე იყო, უკლებლივ ყველა მოედნის შუაგულში სორელის ირგვლივ მოგროვდა. შემდეგ ძუნძულით ორიოდ წრე დაარტყეს მოედანს. ამას გაწელვა მოჰყვა და როდესაც მორაგბეები გახურდნენ, კომბინაციების გათამაშებას შეუდგნენ. სორელმა გუნდი ორად გაყო. ერთი ნაწილი მოედნის ერთ კიდეში, ხოლო დანარჩენები მეორე კიდეში დაჯგუფდნენ. იქ მათ შეტევისა და დაცვის ელემენტები დაამუშავეს. მცირედი წაბურთავების შემდეგ სორელმა უკლებლივ ყველა თავისთან იხმო და აუტებზე ავარჯიშა. ფრანგი მწვრთნელი მშვიდად ატარებდა ვარჯიშს, მხოლოდ ერთხელ აუწია ხმას, როდესაც შეგირდების გარჯით უკმაყოფილო დარჩა. მორაგბეებმა უმალ შეისმინეს მწვრთნელის მითითება და თავიანთ დამრიგებელს ხმამაღალი ლაპარაკის საბაბი აღარ მისცეს. ცოტა ხანში მორკინალებმა ერთმანეთში გააჩაღეს ჯაჯგური, რის შემდეგაც სორელმა გუნდი ორად გაყო და საწვრთნელი თამაშიც გააჩაღა. ერთ მხარეს ისინი დააყენა, ვისაც სავარაუდოდ ძირითად შემადგენლობაში დააწყებინებს თამაშს, მეორეში კი სათადარიგოები და 22-კაცში ვერმოხვედრილი მორაგბეები გაამწესა. ორმხრივი საწვრთნელი მატჩი დაახლოებით ოც წუთს გაგრძელდა. ამის შემდეგ ჩამობნელდა და ვარჯიშიც მორჩა.

ასე დასრულდა სამატჩო მზადების გუშინდელი დღე. დღეს კი ბორჯღალოსნები „ლოკომოტივის“ სტადიონზე წაივარჯიშებენ. დღესვე გაირკვევა ითამაშებს თუ არა ლევან ცაბაძე. მართალია, ლეონსიომ გუშინ სრული დატვირთვით ივარჯიშა, მაგრამ ადვილი შესაძლებელია, დაჟეჟილმა კუნთმა მოედანზე შეახსენოს თავი. თვითონ მორაგბე გადაჭრით ჯერ ვერაფერს ამბობს. დანარჩენები ჯანზე არიან და ფრანგებთან საბრძოლველად ემზადებიან. იმედიანად არის ბორჯღალოსანთა ტულონელი მორკინალი გია ლაბაძე, რომელმაც გვითხრა: „მართალია, ძნელი მატჩი გველის, მაგრამ ჩვენ ლამაზად ვითამაშებთ და მჯერა, რომ გავიმარჯვებთ.“

**ბაჩო სვანიძე**

| საქართველოს ნაკრების სავარაუდო შემადგენლობა | |
|---|---|
| 15 | ბესიკ ხამაშურიძე |
| 14 | მალხაზ ურჯუკაშვილი |
| 13 | თედო ზიბზიბაძე |
| 12 | კახა ალანია |
| 11 | ბადრი ხეხელაშვილი |
| 10 | პალიკო ჯიმშელაძე |
| 9 | გუჯა იოვაძე |
| 8 | ზურაბ მჭედლიშვილი |
| 7 | გია ლაბაძე |
| 6 | დავით ბოლღაშვილი |
| 5 | ვანო ნადირაძე |
| 4 | ვიქტორ დიდებულიძე |
| 3 | ლევან ცაბაძე |
| 2 | აქვსენტი გიორგაძე |
| 1 | გოდერძი შველიძე |



ნაკრების მწვრთნელები კლოდ სორელი (მარჯვნივ) და ტიერი რუდილი (მარცხნიდან მეორე) ტრავმირებულ ირაკლი აბუსერიძეს (მარცხნივ), მევლუდ მთიულიშვილს (შუაში) და ილია ზედგინიძეს ესაუბრებიან

# ჯიშით ქართველი, კარიერით მამალი

## ხუთი ერის მომგებ მიშელ იაშვილს ოჯახში ორი ერის პირველობის გამართვა შეუძლია

*მიშელ იაშვილი — კაცი ფრანგული სახელით და ქართული გვარით. ვინ არის იგი? ამ კითხვაზე, ალბათ, ზოგი ჩვენებური პასუხს ვერ გასცემს, ფრანგთაგან კი პირიქით, უმრავლესობას ეცოდინება. და ეს იმიტომ, რომ მიშელ იაშვილი საფრანგეთში დაიბადა, იქვე დავაჟკაცდა და ქართული გენი მეორე სამშობლოს ამსახურა. დიდებულმა მორაგბემ საფრანგეთის ეროვნული ნაკრების — „მამლების“ შემადგენლობაშიც ითამაშა და იმ დროისთვის ევროპელთა უმთავრესი ტურნირი, ხუთი ერის ჩემპიონატიც მოიგო. მისი უფროსი ვაჟი გრეგუარი საქართველოს ნაკრების წევრია, მაგრამ შაბათს ფრანგებს ტრავმის გამო ვერ დაუპირისპირდება. ბატონი მიშელი კი ამის მიუხედავადაც ჩამოვიდა წინაპართა ქვეყანაში და ჩვენც მისი ახლოს გაცნობის საშუალება მოგვეცა.*



გუშინ მიშელ იაშვილმა პირველად გადახედა წინაპართა სამშობლოს დედაქალაქს

ბადრი ქურციკიძის ფოტო

**— რაკი საქართველოში ნაკლებად გიცნობენ, თავიდან იქნებ თქვენი თავი წარმოგვიდგინოთ.**

— მყავს მეუღლე, რომელიც სომხური წარმოშობის ფრანგია და სამი ვაჟი. უფროსი, გრეგუარი 24 წლისაა, შუათანა, დიმიტრი 21-ისა, ნაბოლარა, შარლ-ედუარდი კი 16-ის. ვცხოვრობ ბრივში, სადაც პოლიციაში ვმუშაობდი. სულ რაღაც სამი კვირაა, პენსიაზე გავედი და ახლა გაცილებით მეტი დრო მექნება მოგზაურობისა და ოჯახისთვის. ბრივის გარდა სხვა ქალაქებშიც მიცხოვრია, მაგრამ ფუძე მაინც იქ მაქვს.

**— თქვენ საფრანგეთში დაიბადეთ. შესაბამისად, ასეთი კითხვა — როგორ მოხვდა მამათქვენი საფრანგეთში? ცოტაოდენი მის შესახებაც გვიამბეთ.**

— მართლაც მხოლოდ ცოტაოდენს გიამბობთ, თორემ მისი ისტორიის დაწვრილებით მოყოლა მრავალ საათს წაგვართმევს. მამაჩემი, თავის ორ ძმასთან ერთად, სხვა მრავალ ქართველთა მსგავსად მეორე მსოფლიო ომის დროს ჯარში გაიწვიეს. ის თავიდან ლენინგრადთან იბრძოდა, მერე კი ტყვედ ჩავარდა. გერმანელებმა ერთ-ერთ ბანაკში გადაიყვანეს თავიანთ ტერიტორიაზე, საიდანაც გაქცევა მოახერხა. შემდეგ ერთხანს გერმანიაშივე იყო, მერე საფრანგეთში გადავიდა და მაკიზარებს შეუერთდა. აღმოსავლეთ და ცენტრალურ ნაწილში ებრძოდა იგი ფაშისტებს. ომის დროს ქალაქ კორებში ერთ-ერთი კაფეს ხშირი სტუმარი იყო, სადაც გაიცნო კიდეც მეპატრონის ქალიშვილი და შეუყვარდა. 1946 წელს კი მეც მოვევლინე ქვეყანას.

**— და-ძმა თუ გყავთ?**

— ერთი უმცროსი ძმა მყავს, რომელიც ტულში ცხოვრობს.

**— მაშ ასე, 1946 წელს დაიბადეთ, რაგბის თამაში როდისღა დაიწყეთ?**

— 12-13 წლისამ. საფრანგეთში არის რეგიონები, რომლებიც მთლიანად ფეხბურთზე არიან ორიენტირებულნი, ოღონდ ეს ძირითადად ჩრდილოეთშია. ჩვენთან კი, სამხრეთში უპირველესი სპორტი რაგბია. ბავშვები ადრეული ასაკიდანვე ეცნობიან მას და მისი სიყვარულიც უჩნდებათ. რაგბი სკოლაში ლამის აუცილებელი საგანია. ბავშვებს ჩოგბურთის ან კალათბურთის ჩემპიონობა რომ შესთავაზოთ, რაგბის მაინც ძნელად თუ უღალატებენ. მეც ასე გავიზარდე და რაგბის თამაშიც პატარამ დავიწყე. 14 წლისა უკვე ტულის ახალგაზრდულ გუნდში ამიყვანეს.

**— შემდეგ როგორ გაგრძელდა თქვენი კარიერა?**

— 17 წლისა ძირითად გუნდში აღმოვჩნდი, რომელიც უმაღლეს დივიზიონში გამოდიოდა და იქ 1970 წლამდე ვთამაშობდი. ამ პერიოდში ერთი-ორი პატარა ტურნირი კი მოვიგეთ, მაგრამ დიდი წარმატებები ნამდვილად არ გვქონია.

**— „ტულის“ შემდეგ სად განაგრძეთ თამაში?**

— „ბრივში“ გადავბარგდი, სადაც 1982 წლამდე დავრჩი და კარიერა 35 წლისამ დავასრულე. „ბრივი“ გაცილებით ძლიერი გუნდი იყო. 1972 და 1975 წლებში საფრანგეთის ჩემპიონატის ფინალში გავედით, მაგრამ, სამწუხაროდ, ორჯერვე დავმარცხდით. სწორედ „ბრივში“ ჩამოვყალიბდი ძლიერ ბურჯად, რომელიც ნაკრების ხელმძღვანელობამაც შეამჩნია.

**— მანამდე არ მოგირგიათ საფრანგეთის რომელიმე ნაკრების მაისურა?**

— კი, ადრევე მიმიწვიეს ახალგაზრდულ ნაკრებში, მერე სამხედრო ნაკრებშიც ვიყავი. ის აბსოლუტურად განსხვავებულია. ყველა უძლიერესი ფრანგი სპორტსმენი ერთად ცხოვრობს ჟუანვილში და ჯარის სახელით გამოდის. ძალიან კარგი სიტუაციაა. მერე რამდენჯერმე მეორე ნაკრებშიც ვითამაშე. საფრანგეთის უპირველეს გუნდში კი 1978 წელს შედგა ჩემი დებიუტი.

**— ვის წინააღმდეგ?**

— ხუთი ერის ჩემპიონატში ინგლისს შევხვდით და გავიმარჯვეთ. დანარჩენ მეტოქეებსაც ვძლიეთ და დიდი სლემი შევასრულეთ, რაც უდიდესი წარმატება იყო.

**— სულ რამდენი მატჩი ჩაატარეთ „მამლების“ შემადგენლობაში?**

— ცხრამეტი. დიდი სლემის შემდეგ სამხრეთულ ტურნეში მივიღე მონაწილეობა. ავსტრალიაში და ახალ ზელანდიაში ვითამაშეთ. სამხრეთ აფრიკაში, არგენტინასა და ამერიკის შეერთებულ შტატებში გამართულ ტესტებშიც ძირითადში ვიდექი.

**— ნაკრებისთვის რამდენი ქულა გაქვთ მოტანილი?**

— ისეთ პოზიციაზე ვთამაშობდი, ქულებს ნაკლებად ვიხვეჭდი. ზუსტად არ მახსოვს, მაგრამ ლურჯი მაისურათი 3-4 ლელო მექნება გატანილი.

**— ყველაზე მეტად რომელი ტესტი დაგამახსოვრდათ?**

— 1978 წელს ახალ ზელანდიაში გამართული ორივე ტესტი. იმ პერიოდში სწორედ „ოლ ბლექსი“ ითვლებოდა მსოფლიოში უძლიერეს ნაკრებად და ამაში მეც დავრწმუნდი. მაშინ მსოფლიოს თასი არ იმართებოდა, თორემ, დარწმუნებული ვარ, ახალი ზელანდია გამარჯვებას არავის დაანებებდა. პირველ მატჩში 3:9 დავმარცხდით, მეორეში კი — 16:18, მაგრამ ორჯერვე უდაძაბულეს ბრძოლაში.

**— პირადად თქვენ ვის წინააღმდეგ მოგიწიათ თამაშმა?**

— მაკლეოდის, უდიდესი მორაგბე იყო და ძალიანაც გამიჭირდა.

**— პარტნიორებიდან ყველაზე უკეთ ვის უგებდით?**

— აჟანელ პოლ ბიემურეს.

**— მაშინდელი საფრანგეთის ნაკრების უძლიერეს რგოლად რომელი ითვლებოდა?**

— სამმეოთხედელები. ისინი უდავოდ უძლიერესნი იყვნენ გუნდში — ჟო მაზო, პიერ ვილეპრე... ყველა აღიარებდა, რომ მსოფლიოში მათი ბადალი ძნელად მოიძებნებოდა. ყველას ეშინოდა მათი, ისეთი ტექნიკურები არიან, ნებისმიერი მატჩის ბედის შემოტრიალება ძალუძთო.

**— კარიერის დასრულების შემდეგ რაგბიდან სულ ხომ არ წასულხართ?**

— რა თქმა უნდა, არა. ერთხანს „ბრივის“ ახალგაზრდულ გუნდს ვწვრთნიდი. მერე სამი წელი მთავარი გუნდის სათავეშიც ვიდექი. შემდეგ სამსახურის გამო ნიცაში მომიწია გადასვლამ და იქაურ გუნდსაც ვხელმძღვანელობდი, რომელიც უმაღლეს დივიზიონში გამოდიოდა. 1993 წელს ისევ ბრიველ ახალგაზრდებს დავუბრუნდი, ახლა კი ერთგვარი სარაგბო სკაუტი ვარ და ტალანტებს ვეძებ „ბრივისთვის“.

**— თქვენი ვაჟებიც თქვენს კვალს დაადგნენ...**

— ხომ გითხარით, ისეთ რეგიონში ვცხოვრობთ, სხვანაირად წარმოუდგენელიც იყო.

**— რას იტყვით მათზე?**

— გრეგუარმა შედარებით დაბალი დონის „ლა ტესტში“ დაიწყო და ახლა საკმაო ძლიერ პარიზულ „რასინგშია“, რომელიც ელიტ 2-ში გამოდის. სამწუხაროდ, დაახლოებით თვენახევრის წინ მხრის ტრავმა მიიღო და ოპერაციაც დასჭირდა. ამიტომაც ვერ გამოვა საქართველოს ნაკრებში. ახლა უკეთაა, უკვე ძუნძულიც დაიწყო და იმედია, იანვარში სრულ მწყობრში ჩადგება. დიმიტრი ინგლისურ „გლოსტერში“ გადავიდა. შარშან საფრანგეთში ბრწყინვალე სეზონი ჩაატარა და მასზე ძალიან დიდი მოთხოვნილება იყო. მან ლა მანშის გადალახვა ისურვა. ის ჯერ ძალიან ახალგაზრდაა, მაგრამ საკმაოდ ძლიერია. „გლოსტერში“ თითქმის მუდმივადაა ძირითად შემადგენლობაში, არადა, კონკურენტად ისეთი მორაგბე ჰყავს, ინგლისის ნაკრებში ათამდე კეპი რომ დაუგროვებია. დიმიტრი შერკინების ნახევარმცველია და საფრანგეთის ახალგაზრდულ ნაკრებშიც თამაშობს. იმედი მაქვს, მალე ეროვნულ ნაკრებშიც მიიწვევენ...

**— და მაშინ, თუ როდესმე საფრანგეთისა და საქართველოს ნაკრებების მატჩში თქვენი ვაჟები ერთმანეთს დაუპირისპირდებიან, ვის მხარეს გადაიხრება მამის გული?**

— ყოველნაირად ვეცდები, ნეიტრალური ვიყო. სხვანაირად წარმოუდგენელია. გრეგუარი წინაპრების ქვეყნის სახელს რომ არ იცავდეს, მაშინ შეიძლება მაინც საფრანგეთისთვის მექომაგა, მაგრამ ამ შემთხვევაში ეს აბსოლუტურად გამორიცხულია. ისე, ძალიან გავიხარებ, თუ ერთ დღეს ისინი ერთმანეთს სანაკრებო დონეზე დაუპირისპირდებიან.

**გაიოზ თალაკვაძე**



*უბედნიერესი ვარ წინაპრების სამშობლოში ყოფნით, ძალიან მეამაყება ჩვენი ერის. ჩვენს ნაკრებს კარგ შანსს, ყველას ჯანმრთელობას და ბედნიერ მომავალს ვუსურვებ.*

*მიშელ იაშვილი*
*08. 11. 2001*



ქართველი, ფრანგი და ქართველ-ფრანგი: ლევან ცაბაძე, კლოდ სორელი და მიშელ იაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მსოფლიოს ჩემპიონმა გიორგი ასანიძემ საქართველოს დიდება გაახსენა




ჩემპიონი, მწვრთნელი და ფედერაციის პრეზიდენტი: გიორგი ასანიძე, ვანო გრიქუროვი და რამაზ გურგენიძე

# გიორგობის წელი გიორგობისთვეში

*გუშინ გიორგი ასანიძემ მსოფლიოს ანთალიიდან გადმოხედა. დამოუკიდებელი ქართული სპორტის ისტორია მეორე ოქროს მედლით გამდიდრდა. 1997 წელს მოკრივე გიორგი კანდელაკის მიერ მოპოვებულ ოქროს მედალს, გუშინ საჩხერელმა ძალოსანმა გიორგი ასანიძემ მეორეც მიამატა.*

*ევროპის ორგზის ჩემპიონი, სიდნეის ოლიმპიური თამაშების ბრინჯაოსმედალოსანი, მსოფლიოს რეკორდსმენი. ამ მდიდარ მონაგარს მსოფლიოს ჩემპიონატის ოქროს ბრწყინვალება აკლდა და ასანიძის კოლექციას ისიც შეემატა. ანთალიაში მიმდინარე მსოფლიოს ჩემპიონატზე 85 კგ წონით კატეგორიაში გიორგიმ ჯამში 390 კგ დაიმორჩილა და სხვათაგან მიუწვდომელი გახდა. აქვე ისიც ვთქვათ, რომ გუშინ ასანიძემ კიდევ ორი მედლით დაიმშვენა მკერდი – ვერცხლი ატაცში 180 კილოსთვის ერგო, ოქრო 210 კილოგრამიანი შტანგის აკვრისთვის.*

*გუშინვე გიორგის ანთალიაში დავუკავშირდით. დოპინგ-კონტროლიდან გამოსული ასანიძე სიხარულს ვერ მალავდა, მილოცვის მერე მსოფლიოს ჩემპიონთან ეს ინტერვიუც შედგა:*



ასანიძეს გუშინდელი წარმატება ანთალიაშივე მყოფმა სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარემ, ირაკლი მეძმარიაშვილმა მიულოცა

ბადრი კეთილაძის ფოტო

— ძალიან ბედნიერი ვარ, თურმე ოცნების ასრულება შესაძლებელი ყოფილა. ქანცგამწყვეტ ვარჯიშებს და მსოფლიოს ჩემპიონობის დაუოკებელ სურვილს უკვალოდ არ ჩაუვლია. დღეს იღბალიც ჩემსკენ იყო. ეტყობა, ვიმსახურებდი ოქროს და ღმერთმაც არ გამწირა.

**— ატაცში მსოფლიოს რეკორდსმენი ხარ, ამ მოძრაობაში შენი მჯობნი არავინაა. ანთალიაში კი სომეხ გაგიკ ხაჩატურიანს დაუთმე ოქრო.**

— მე და ხაჩატურიანმა ერთნაირი წონა — 180 კგ დავიმორჩილეთ, ოღონდ, სომეხი ჩემზე 100 გრამით მსუბუქი იყო და პირველობაც ამიტომ ერგო. შემეძლო უფრო მძიმე წონა შემეკვეთა, მაგრამ არ გავრისკე, ახლახან მორჩენილი ხელის იმედი არ მქონდა, თანაც 180 კგ ოქროს მედლისთვის ბრძოლის შანსს მიტოვებდა.

**— შენი მეტოქეები, ირანელი შაჰინ ნასირინია და გერმანელი მარკ ჰუსტერი აკვრის სპეციალისტებად მიიჩნევიან, მათთან პაექრობაში, შესაძლოა, ოქროს ვერ შესწვდომოდი...**

— ატაცში მოპოვებული უპირატესობის მეიმედებოდა, თუმც ფიცარნაგზე ისეთი ამბები დატრიალდა, ჩემს წისქვილზე რომ დაასხა წყალი. ნასირინია აკვრაში ჩაფლავდა და ჩემპიონატი ნული ქულით დაასრულა, ჰუსტერი კი ტრავმის გამო გამოეთიშა შეჯიბრს. ოქროს ხაჩატურიანი და ბელარუსი ონიშჩენკო მეცილებოდნენ. სამივემ 207,5 კგ ავკარით. მეორე ცდაზე 210 კგ დავიმორჩილე. სომეხი ძალოსანი შტანგის აკვრისას დაშავდა და ჯამში 387,5 კგ დაუგროვდა. ჯერი ონიშჩენკოზე მიდგა, რომელიც 212,5 კილოგრამის დამორჩილებას შეეცადა, მაგრამ ვერ შეძლო. ეს კი ჩემს ჩემპიონობას ნიშნავდა.

**— გიორგი, ცხადია, ამ წარმატებაში ლომის წილი შენს მწვრთნელ ვანო გრიქუროვს უდევს.**

— რა თქმა უნდა. ალალად ვამბობ, რომ არა ვანო გრიქუროვი, მსოფლიოს ჩემპიონატის ოქროს მედალი კი არა, ძალოსნობისთვის დაკარგული ვიყავი. ანთალიისთვის პოლონეთში მასთან ვემზადებოდი 45 დღის მანძილზე. ამ კაცს იმდენი ამაგი აქვს ჩემზე, ალბათ, მთელი ცხოვრება ვერ გადავუხდი.



გიორგი ასანიძეს ლხინის დრო დაუდგა

ბადრი კეთილაძის ფოტო

**— ქანცგამწყვეტი ვარჯიშები და იღბალი ახსენე, მაინც რის ხარჯზე გაიმარჯვე?**

— ალბათ, გამოცდილების, ევროპის ჩემპიონატები, ოლიმპიადა, ზურგს დიდი სატურნირო გამოცდილება მიმაგრებს. ძალოსნობაში ჩემთვის საიდუმლო არ არსებობს. მთელი კარიერის მანძილზე იღბალი ჩემზე „გაბუტული“ იყო და ანთალიაში პირველად დამელაპარაკა, ეს, ცხადია, ხუმრობით. ეტყობა, მართალია, ბედი ძლიერებს სწყალობსო. ანთალიაში მე ვჯობდი სხვებს.

**— თურქი მაყურებელი ვის ქომაგობდა?**

— ჩემდა გასაოცრად, მთელი დარბაზი მე მგულშემატკივრობდა, ამას პოლონეთის დელეგაციის მხარდაჭერაც დაუმატეთ, ანთალიაში მცხოვრებ გურჯებზე და ქართული დელეგაციის ქომაგობაზე აღარაფერს ვიტყვი. ეს ოქროს მედალიც მთელ საქართველოს ეკუთვნის.

**სოსო კოტორეიშვილი**

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
ტექნიკური რედაქტორი ვახტანგ ბზიკაძე
ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი სოსო კოტორეიშვილი
კალათბურთის და ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი მერაბ რატიშვილი
ფეხბურთის რედაქცია სოლომონ გულისაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი

კალათბურთის და ინფორმაციის რედაქცია გია ახალაძე, გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, დავით გულუა, ავთანდილ გურასაშვილი, ირაკლი ფირაშვილი
კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე
ფოტორეპორტიორები გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი ლია ბესელია, ელენე გელუტაშვილი, თამაზ გოგებაშვილი, მამუკა გუბელაძე, სვეტა დევაძე, მაგდა დოგრაშვილი, კახა თალაკვაძე, მარიამ ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, ნინო ყუფუნია, მალხაზ ჰუმბურიძე
გამომშვები ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
s'r'ieliꝫgolxge
ელექტრონული ვერსია
http:xxwwwxs'r'ielixcomxge